ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

7 აპრილიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
„აღდგომა“
ტომი 1
აფცბ უფპტსსფყ ტჰსფლ ( კფჰბ




ხუთშაბათი, 9 აპრილი, 2015 | 182 (6702) | აფცბ5 №) სტსჰბ

# მინდია ჯანელიძე: რუსეთი, რა თქმა უნდა, ოკუპანტია“



გვ.2

„მე არავის ემისარი არ ვარ“
თავდაცვის მინისტრმა დეპუტატის ბრალდებებს უპასუხა

## დავით ნარმანია: „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაუქმება 25 მილიონი დაგვიჯდება“



გვ.2

ალეკო ელისაშვილი: „დედაქალაქის მერიასა და „სითი პარკს“ შორის გარიგება მოხდა“



გვ.7

## გომელაური: „კორტების საქმეზე დაკავებული სპეცრაზმელები არასწორ ბრძანებას შეეწირნენ“

## გიგა ბუკია: „პოლიციელის სოციალური დაცვის ინიციატორები ჩვენ ვართ“

გვ.7

„ნაციონალების ნაცვლად მრცხვენია“



ISSN 1987-9385

## ირმა ინაშვილი: მე რომ სკოლა დავამთავრე, შალვა აბულაძე პირველ კლასში იყო“

გვ.6

რატომ აბრალებენ ირმა ინაშვილს შალვა აბულაძის მფარველობას



# დავით ნარმანია: სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაუქმება 25 მილიონი დაგვიჯდება“

## ალეკო ელისაშვილი: „დედაქალაქის მერიასა და „სითი პარკს“ შორის გარიგება მოხდა“

ნათია ხურცილავა

**გუშინ, 8 აპრილს, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია საკრებულოს სხდომაზე 8 თვის მუშაობის ანგარიშით წარდგა.**

**საკრებულოს შენობასთან თბილისის მერს სამი თემატური აქცია დახვდა. ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ, „პარტიზანმა მებაღეებმა“ და „სამართლიანი თაობის“ წარმომადგენლებმა მერი შენობაში შეძახილებით — „გადადექი“ შეაცილეს.**

აქციის მონაწილეები დავით ნარმანიას საქმიანობას აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ მიუღებელია მისი მხრიდან საკრებულოს დეპუტატებისთვის იმის გაცნობა, თუ რა კარგად არის დედაქალაქში ყველაფერი.

„პარტიზანი მებაღეები“ დავით ნარმანიასგან მოითხოვენ დანაპირების შესრულებას მილიონი ხის დარგვასთან დაკავშირებით. ცხოველთა უფლებების დამცველები კი იმ რეგულაციებს აპროტესტებდნენ, რომლებიც საკრებულომ რამდენიმე დღის წინ ცხოველებთან დაკავშირებით მიიღო.

„სამართლიანი თაობის“ წევრები მერიაში ნეპოტიზმზე საუბრობდნენ და აცხადებდნენ, რომ დედაქალაქის ზედამხედველობის სამსახურის უფროსად გეგი ნიჟარაძის მუშაობა დანაშაულია.

დავით ნარმანიამ პროტესტანტებს გვერდი აუარა, საკრებულოს გამოფენის დარბაზში მერიის წარმომადგენლების მუშაობის ამსახველი ფოტო-მასალა დაათვალიერა, შემდეგ კი დეპუტატების წინაშე წარდგა.

◆ ◆ ◆

საკრებულოს ნარმანიამ ის პროექტები წარუდგინა, რომელთა განხორციელებას დედაქალაქის მერია წლის ბოლომდე გეგმავს.

თბილისის მერმა ყურადღება სოციალური, ჯანდაცვის, კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაამახვილა.

**დავით ნარმანია:**

— მოსახლეობისთვის ბევრი სასარგებლო რეფორმა განხორციელდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალური დაცვის კუთხით გატარებული რეფორმა, რომლის მიხედვითაც, ლეიკემიით დაავადებული ადამიანების დაფინანსება პრიორიტეტული ხდება. ჩვენი ხელისუფლების პირობებში სოციალური დაცვის კუთხით უპრეცედენტო პროგრამა დაიწყო, რომელიც ლეიკემიით 30 წლამდე ადამიანთა განკურნებას ისახავს მიზნად. ამ პროგრამის შედეგად, 20 ბენეფიციარი დაფინანსდება და ეს თანხა 4 მილიონ ლარს შეადგენს.

მერის თქმით, დაიწყო მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობა. ის 240 ბენეფიციარზეა გათვლილი. მშენებლობა ზაფხულში დასრულდება და განსაკუთრებით მზრუნველობამოკლებული ადამიანები იქ განთავსდებიან.

მოქალაქეთა სოციალური დახმარების პროგრამებს ხუთი ახალი პროგრამა დაემატა, ხოლო არსებული პროგრამები გაუმჯობესდა, ზოგიერთის დაფინანსება კი გაორმაგდა.

— მინდა გამწვანებაზეც გავამახვილო ყურადღება. გამწვანების ტემპი რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდა და შესაბამისი გამწვანების ღონისძიებები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ასევე იგეგმება ნაგავსაყრელი ქარხნის მშენებლობა, ასევე რამდენიმე ახალი საბავშვო ბაღი აშენდება და მოხდება ხიდების რეაბილიტაცია, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე ინფორმაციით, მოხდება „დინამო არენის“ განახლება და სხვა სახის პროექტების განხორციელება.

◆ ◆ ◆

ნარმანიას გამოსვლის შემდეგ საკრებულოს ფრაქციებმა თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს. ფრაქციების თავმჯდომარეების გამოსვლის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შეკითხვებს დედაქალაქის მერმა უპასუხა.



დავით ნარმანია



ალეკო ელისაშვილი

დეპუტატებმა დედაქალაქის მერს ის საკითხები შეახსენეს, რომლებიც ბოლო თვეებში დედაქალაქში აქტუალური იყო და დავით ნარმანია ანგარიშით გამოსვლის დროს არ შეხებია.

საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა თბილისის მერს ჯოკია ბოდოკიას საქმე შეახსენეს.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა დავით ნარმანიას „სითი პარკთან“ დაკავშირებული პრობლემები, მილიონი ხის დარგვის შესახებ დადებული პირობა შეახსენა და ხეების მოჭრის ფაქტებზე სთხოვა კომენტარი.

დაისვა კითხვები ტენდერებთან დაკავშირებით, „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის ნაცვლად 30%-ით გაზრდილ ადმინისტრაციულ ხარჯებსა და სხვა საკითხებზე.

ერთ-ერთი დეპუტატის კითხვა მერიის ავტოპარკის განახლებას ეხებოდა.

**დავით ნარმანია:**

— ჩვენ რაც დაგვხვდა, ისევ იმ მანქანებით დავდივართ, უბრალოდ, ბიუჯეტში ამ თანხებს ვითვალისწინებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მანქანები ზოგჯერ გამოდის მწყობრიდან და თუ არ შევაკეთეთ, მაშინ შეუძლებელი გახდება იმ საქმის გაკეთება, რასაც ვაკეთებთ. პირადად მე კი ნათხოვარი მანქანით დავდივარ. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ თბილისის მერიამ საწვავის ლიმიტებზე თანხები დაზოგა.

საკრებულოს დეპუტატები დაინტერესდნენ, თუ აქვს მერიას კონკრეტული გეგმა ქალაქის საცობებისგან განტვირთვასთან დაკავშირებით.

**დავით ნარმანია:**

— ჩვენ გავააქტიურებთ ამ მუშაობას. იქნება გეგმაც წარმოდგენილი. თუმცა ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ მოვახდენთ საცობებისგან ქალაქის მთლიანად განტვირთვას. კონსულტაციებს გავდივართ უცხოელებთან იმისთვის, რომ თბილისი გახდეს მომავლის ქალაქი.

მართავს თუ არა „სუსი“ დედაქალაქის მერიას?

დავით ნარმანიამ ამ კითხვას ასე უპასუხა:

— სხვა ფორმატში რომ ვიყოთ, ამაზე ანეკდოტს მოვყვებოდი, მაგრამ აქ ეს ფორმატი არ არის.

რა პასუხი აქვს ნარმანიას „სითი პარკთან“ დაკავშირებით?

**დავით ნარმანია:**

— **კომპანია „სითი პარკ**თან“ ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, თბილისის მუნიციპალიტეტს, მინიმუმ, 25 მილიონის გადახდა მოუწევს. კომპანიაში დასრულდა ფინანსური ანალიზი, ხელშეკრულება გადახრილია ერთი კომპანიის მხარეს. ჩემთვის გაურკვეველია, რატომ შეუქმნეს თავის დროზე ამ კომპანიას ასეთი სასათბურე პირობები. ხელშეკრულება რომ მოვშალოთ, მუნიციპალიტეტს, მინიმუმ, 25 მილიონის გადახდა მოუწევს.

დავით ნარმანიამ „პარტიზან მებაღეებსაც“ უპასუხა, რომლებიც საკრებულოს შენობაში მერის მოსასმენად იყვნენ შესულები.

**დავით ნარმანია:**

— დაწყებულია მუშაობა განაშენიანების ახალ გენერალურ გეგმაზე. პარკები სუფთავდება, დაინერგა და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები, მიწისქვეშა გადასასვლელები მოირეცხა, მათი ქაოტური მართვა შეწყდა და პასუხისმგებლობა გადავიდა ერთი უწყების ხელში. მიწისქვეშა გადასასვლელებში მონტაჟდება მოძრავი პანდუსები და ვიდეო-კამერები.

◆ ◆ ◆

გუშინ მცირე სკანდალიც მოხდა.

დეპუტატმა ირაკლი ნადირაძემ დავით ნარმანიას მისი ძმის, ირაკლი ნარმანიას და ჯოკია ბოდოკიას კავშირზე დაუსვა კითხვა, ზაზა ვეკუამ კი ნარმანიას მერიაში კორუფციული გარიგებები შეახსენა.

ამან ნარმანია გააბრაზა. მერმა დეპუტატების მხრიდან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

**დავით ნარმანია:**

— დაელოდეთ გამოძიებას. სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და პატივი ეცით სისხლის სამართლის კანონმდებლობას. თქვენ მოგმართავთ, ირაკლი ნადირაძესა და ზაზა ვეკუას, რომ ბოდიში გაქვთ მოსახდელი. რაც შეეხება ჩემს ძმას, ირაკლი ნარმანიას, ის მხოლოდ იცნობს ჯოკია ბოდოკიას საარჩევნო კამპანიიდან. ჩემი ძმა იმყოფებოდა საზღვარგარეთ და მისი მონაწილეობა ამ საქმეში გამოირიცხა.

თავს არ მივცემ იმის უფლებას, თქვენ სასამართლოში გიჩივლოთ, თუმცა თქვენ ხართ ამის ღირსი.

◆ ◆ ◆

როგორ აფასებენ დავით ნარმანიას გამოსვლას საკრებულოს დეპუტატები?

**ჯაბა ჯიშკარიანი, „ქართული ოცნება“:**

— ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი. დავით ნარმანიას დღეს საკრებულოს წინაშე მოსვლა და ანგარიშით წარდგენა კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში დემოკრატია ზრდის პროცესშია. თვითმმართველი მერი პირველად მოვიდა საკრებულოს სხდომაზე და ყველა დეპუტატის შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა. ყველა დეპუტატს მიეცა შესაძლებლობა, რომ ის კითხვები დაესვათ მერისთვის, რომლებიც მათ აწუხებდათ.



— *რაიმე საკითხი თუ იყო, რომელიც მეტ კონკრეტიკას ითხოვდა მერის მხრიდან?*

— ჩვენ ძირითადად სამომავლო გეგმებზე დავსვით კითხვები. ასევე კითხვები ეხებოდა სოციალურ პაკეტს, სოციალურად დაუცველთა დახმარებას. როგორც გაირკვა, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა პაკეტს ხუთი ახალი პროგრამა დაემატება.

**სევდია უგრეხელიძე, ნაციონალური მოძრაობა:**



— ბატონ ნარმანიასთან ძალიან ბევრი კითხვა გვქონდა და დავუსვით ეს კითხვები: რატომ ართმევენ ხალხს იმ ფულს, რომელიც კონკრეტულად მათი საჭიროებებისთვის უნდა იყოს გამოყენებული და ბიუროკრატიაში რატომ გადააქვთ. „ქამრების შემოჭერის“ ნაცვლად, შტატებს რატომ ზრდიან და ქალაქის ინფრასტრუქტურაში ასეთი მძიმე მდგომარეობა რატომ არის.

**ზაზა ვეკუა, „დემოკრატიული მოძრაობა“:**



— თბილისის მერი თვითკრიტიკული უნდა იყოს, თუმცა, ნარმანიას განცხადებებიდან ასე არ ჩანს. ამდენად, ჩვენც შესაბამისი რეაგირება გვექნება.

**ალეკო ელისაშვილი, დამოუკიდებელი დეპუტატი:**

— თბილისის მერის გამოსვლა იყო ზედაპირული. იყო მწვავე საკითხებზე საუბარი, თუმცა ყველა მწვავე საკითხს დავით ნარმანია გაექცა. შეგვიძლია უსასრულოდ ვისაუბროთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ცუდი იყო, თუმცა ყველაზე კარგად საუბრობს გაკეთებული საქმეები. სამწუხაროდ, თბილისის მერიაში გაკეთებული საქმე ძალიან ცოტაა. როდესაც მწვავე საკითხებზე ვესაუბრებოდით, პასუხი იყო, რომ ნაციონალური მოძრაობა ცუდი იყო.

— *კონკრეტულად თქვენ რა შეკითხვა გქონდათ?*

— ჩემი შეკითხვა „სითი პარკს“ შეეხებოდა. მე ეჭვი მიჩნდება, რომ დედაქალაქის მერიასა და „სითი პარკს“ შორის მოხდა გარიგება და სწორედ ამიტომ აარიდა თბილისის მერმა დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას თავი. უზედაპირულესი პასუხები იყო. უფრო კონკრეტულ და ბევრ კონკრეტულ და გაკეთებულ საქმეზე უნდა ესაუბრა დედაქალაქის მერს.

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# მინდია ჯანელიძე: რუსეთი, რა თქმა უნდა, ოკუპანტია“

## „მე არავის ემისარი არ ვარ“

შორენა მარსაგიშვილი



თავდაცვის მინისტრმა დეპუტატის ბრალდებებს უპასუხა

თავდაცვის მინისტრმა ნაციონალებს და თავისუფალ დემოკრატებს სააღდგომო საჩუქარი გაუკეთა. მინდია ჯანელიძე პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე მივიდა და დეპუტატების კითხვებს პასუხი გასცა.

კანონმდებლებს ამირსპასალართან ბევრი კითხვა ჰქონდათ. ამიტომაც მათი შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

დეპუტატთა სამსჯავროს წინაშე წარდგომამდე მინისტრს აქცია დაახვედრეს. პარლამენტის შენობის წინ, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ალასანიას თანაპარტიელები შეიკრიბნენ. ისინი პლაკატებით და დიდი ქოლგით იყვნენ შეიარაღებული. „ქოლგით ქვეყანას ვერ დაიცავ“ – ასეთი იყო აქციის დევიზი.

ახალგაზრდების განმარტებით, მათი თავყრილობის მიზანი ჯანელიძის მხილება იყო. ისინი სამხედრო უწყების თავკაცს ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედებებში ადანაშაულებდნენ.

მხილების შემდეგ, ალასანიას თანაპარტიელებმა მინდია ჯანელიძეს მოუწოდეს, დაუყოვნებლივ გააგრძელოს მუშაობა საფრანგეთში ხელმოწერილი მემორანდუმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რადგან აგრესიის



შემთხვევაში ქვეყანამ თავი არა ქოლგებით, არამედ ძლიერი საჰაერო თავდაცვითი იარაღით უნდა დაიცვას.

გუშინვე გმირთა მოედანზე, თავდაცვის მინისტრის გადადგომის მოთხოვნით, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა აქცია გამართა.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ისინი არ შეეგუებიან გმირების არასათანადოდ მოხსენიებას და ხელისუფლებისგან ომში დაღუპული გმირების დაფასებასა და პატივისცემას მოითხოვენ.

– ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან, რომ პატივი სცენ გმირებს, დააფასონ ქართველი ვაჟკაცები, ქართველი მებრძოლები, იმ ხელისუფლებას, რომელიც გმირებს არ სცემს პატივს და რომელიც გმირის ნეშტს ნაწილაკებს უწოდებს, ქართული საზოგადოებისგან ეკუთვნით დიდი წითელი ბარათი, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „აპრიორის“ წარმომადგენელმა.

თავდაცვის მინისტრის გადადგომას თავისუფალი დემოკრატები და ნაციონალებიც ითხოვენ.

### მინისტრი ბოდიშს იხდის

2 აპრილს მუხათგვერდის სასაფლაოზე ქართველი სამხედროების ცხედრების ფრაგმენტები დაკრძალეს. ამ ღონისძიებას თავდაცვის მინისტრი ვერ დაესწრო. ამის გამო ლამის მთელი პოლიტიკური სპექტრი გადაირია. ამ ფაქტთან დაკავშირებით მინისტრს განმარტებების გაკეთება გუშინაც მოუწია.

მისი განცხადებით, 2 აპრილს მუხათგვერდის სასაფლაოზე აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ფრაგმენტების დაკრძალვაზე მისი არდასწრება პოლიტიკური სპეკულაციების საბაბი გახდა, თუმცა ეს სპეკულირების თემა არ არის.

მინისტრი მიიჩნევს, რომ ის ჯარისკაცების დაკრძალვის ცერემონიაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა, მინისტერიალის თარიღი შეიცვალა და სხვა ქვეყნის თავდაცვის მინისტრების ვიზიტი საქართველოში 2 აპრილს, ჯარისკაცების დაკრძალვის დღეს დაემთხვა.

ჯანელიძემ ასევე აღნიშნა, რომ ამის მიუხედავად, მისი უწყება ცერემონიაზე ღირსეულად იყო წარმოდგენილი მისი მოადგილის და გენშტაბის ხელმძღვანელის სახით.

**მინდია ჯანელიძე:**

– ეს არ არის ის თემა, რომელზეც პოლიტიკური სპეკულაციები შესაძლებელია. ეს ღონისძიების ფორმატი მშობლების, სასულიერო პირებისა და ოჯახის წევრების მონაწილეობით იყო შემუშავებული. მე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მინისტერიალის თარიღმა გადაიწია და, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე მისვლა, თუმცა, სამინისტრო მოადგილის სახით, გენერალური შტაბის ხელმძღვანელის სახით ღონისძიებაზე ღირსეულად იყო წარმოდგენილი. ჩვენთვის გმირების პატივისცემის საკითხში ერთი რომელიმე ფაქტი ან შემთხვევა არ არსებობს. ეს ჩვენი ყოველდღიური ვალდებულებაა.

### კაბელების საქმე

როგორც მოსალოდნელი იყო, საკომიტეტო მოსმენაზე ჯანელიძეს ე.წ. კაბელების საქმეზეც მოუწია საუბარმა. ამ თემით თავისუფალი დემოკრატები დაინტერესდნენ. კაბელების საქმეზე თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსანი გასული წლის ოქტომბერში დააკავეს. ირაკლი ალასანიას მტკიცებით, ამ დაკავების უკან ბიძინა ივანიშვილი იდგა.

ამ საქმესთან დაკავშირებით სამხედრო უწყების ხელმძღვანელს შეფასებების გაკეთება არ სურს. ის სასამართლოს ვერდიქტის მოლოდინშია.

– ვწუხვარ, რომ ეს შემთხვევა მოხდა. მასთან მიმართებაში მე შეიძლება ჩემი პირადი მოსაზრებები მქონდეს, მაგრამ ვერ ჩავერევი იმ პროცესში, რასაც საგამოძიებო პროცესი და სასამართლო განხილვა ჰქვია. ჩემი პოლიტიკური პოზიციაც ჩამოყალიბდება მას შემდეგ, რაც საბოლოო ვერდიქტი დაიდება და საზოგადოებისთვისაც ცნობილი იქნება. მე ეჭვი არ შემაქვს არც სასამართლოს, არც პროკურატურის კომპეტენციაში, არც მათ საიმედოობაში, – განაცხადა ჯანელიძემ.

ამ საკითხზე კომენტარი გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ვახტანგ კაპანაძემაც გააკეთა. მისი თქმით, ქვეყანაში არსებობს კანონი, რის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს სასამართლომ.

– ჩვენი პოზიცია არის ის, რომ სამართალმა პური უნდა ჭამოს. არსებობს სასამართლო, კანონი. ასე რომ, იმის მიხედვით იმოქმედოს სასამართლომ, – განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ.

### რატომ ეშინიათ ნაციონალებს მინისტრის მოადგილის

ნაციონალური მოძრაობა კარგა ხანი ელოდა თავდაცვის მინისტრის მისვლას პარლამენტში. მათ ყველაზე მეტად მინისტრის მოადგილის, ლევან ღირსიაშვილის, პოლიტიკური ორიენტაცია აინტერესებდათ.

ნაცმოძი ღირსიაშვილს ლამის პუტინზე სახიფათოდ მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ მისი გული რუსულად ძგერს.

დეპუტატ გიორგი კანდელაკის განცხადებით, ღირსიაშვილი ცნობილია თავისი ანტიდასავლური განწყობებით და იმით, რომ ის ერთ-ერთი პრორუსული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია. დეპუტატს მხედველობაში გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა ჰქონდა.

ჯანელიძემ ნაცმოძის ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა და ისინი საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში დაადანაშაულა.

– ამ თემაზე არაერთი კომენტარი გაკეთდა. ლევან ღირსიაშვილი არასდროს ყოფილა დემოკრატიული მოძრაობის წევრი, ამის თაობაზე კომენტარი გააკეთეს თავად ლევან ღირსიაშვილმა და დემოკრატიული მოძრაობის პრესსპიკერმაც. ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, – განაცხადა ჯანელიძემ.

ნაციონალებს მინისტრის პასუხი არ მოეწონათ და ის სიცრუეში დაადანაშაულეს. ლევან ბეჟაშვილმა კი პარტიის სახელით მისი გადადგომა მოითხოვა.

– მინდია ჯანელიძე, ისევე, როგორც მთელი მთავრობა, უნიათოა, ამიტომაც მთავრობასთან ერთად უნდა გადადგეს, – მიიჩნევს ბეჟაშვილი.

### ზარი ალასანიასთან

საკომიტეტო მოსმენაზე სტუმარ-მასპინძელმა გვერდი ვერც ირაკლი ალასანიას თემას აუარა. ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ პარიზში ვიზიტისას მინდია ჯანელიძემ დაურეკა და ხელმოწერის გადადება მოსთხოვა.

კანონმდებლების წინაშე ამირსპასალარმა აღიარა, რომ პარიზში მყოფ ალასანიას გადაურეკა.

– რაც შეეხება იმას, დავურეკე თუ არა თავდაცვის მინისტრს, კი, დავურეკე. იყო განცხადება იმის თაობაზე, თითქოს მე შევცვალე ჩემი პოზიცია. არსად არ მითქვამს, რომ არ დამირეკავს. დავურეკე, რომ გარკვეულიყო რაღაც პროცედურები. ამასთან, მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოეწერა, არ ითვალისწინებდა ხელშეკრულების გაფორმებას. რაც შეეხება იმას, რომ მემორანდუმს ვადა ამოეწურა, ხელშეკრულება კი გაფორმებული არ არის, ამაზე მოდით, ნდობის ჯგუფში ვილაპარაკოთ. მემორანდუმი თავისთავად არ ითვალისწინებდა ხელშეკრულების გაფორმებას, – განაცხადა მინდია ჯანელიძემ.

ამ ამბის გახმაურების შემდეგ ერის ნაწილმა ირაკლი ალასანია ლამის მოღალატედ შერაცხა. მათი მტკიცებით, ნამინისტრალმა საიდუმლო ინფორმაციის გაცემით კანონი დაარღვია.

დეპუტატები დაინტერესდნენ, დაარღვია თუ არა თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა კანონი. მინისტრმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მოინდომა. რადგან ის არ არის პროკურორი და სამართლებრივ შეფასებას ვერ გააკეთებს.

– არსად მითქვამს, რომ კანონი დაარღვია და დანაშაული ჩაიდინა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არ დაარღვიო კანონი, შეიძლება ზიანი მიაყენო ქვეყნის ინტერესებს და ჩემი რჩევა იქნება, ამ ფორმატში ნაკლებად ვისაუბროთ ამ საკითხზე, – ამბობს ამირსპასალარი.

უფრო მწვავე კითხვა ჰქონდა მასთან გია ბარამიძეს. ის დაინტერესდა, იყო თუ არა მინდია ჯანელიძე საკონტაქტო პირი რუსეთის ფედერაციასა და ბიძინა ივანიშვილს შორის.

ბარამიძის კითხვამ მინისტრი გააღიზიანა და მან დეპუტატის კითხვას სისულელე უწოდა.

**მინდია ჯანელიძე:**

– ეს არის სრული სისულელე. ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და უპასუხისმგებლო განცხადება, რომ მე ვინმეს ემისარი ვიყავი ან სადმე ვიყავი ემისარი. გთხოვთ, ეს ინფორმაცია დააზუსტოთ, ვინ ვიყავი, სად ვმუშაობდი და ამის შემდეგ ილაპარაკოთ. რაც შეეხება კონტრდაზვერვაში ჩემი მუშაობის პერიოდს, ამას სიამაყით აღვნიშნავ ყოველთვის.

### „რუსეთი, რა თქმა უნდა, ოკუპანტია“

ჯანელიძემ დეპუტატებთან რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზეც ისაუბრა. მისი ანგარიშის დიდი ნაწილი სწორედ კრემლის ავ ზრახვებს დაეთმო.

მისი თქმით, საქართველოს დასავლური კურსის გამო, რუსეთიდან მომავალი სამხედრო საფრთხე კვლავ აქტუალურია. ჯანელიძემ ასევე განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან გაფორმებული

გაგრძელება მე-11 გვერდზე



# ირაკლი ღარიბაშვილი მესამე ვაჟის მამა გახდა



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს 7 აპრილს, გვიან ღამით მესამე ვაჟი შეეძინა. ამ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში ადასტურებენ.

მათი ინფორმაციით, ღარიბაშვილის მეუღლე ნუნუ თამაზაშვილი და ახალშობილი თავს კარგად გრძნობენ.

ცნობილია, რომ ბავშვს გაბრიელი დაარქვეს.

ირაკლი ღარიბაშვილს გაბრიელის გარდა, ორი შვილი – ნიკოლოზი და ანდრია ჰყავს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

## ააიპ საქველმოქმედო ასოციაცია თიბისი - საქველმოქმედო საქმიანობის დეტალური აღწერა

საქველმოქმედო ასოციაცია „თიბისი" რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2006 წლის 6 ივნისს [ბრძანება #779] რეგისტრაციის მოწმობა #01186/12/0635 საიდენტიფიკაციო ნომერი 202340243, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის #7.

ასოციაცია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო [არაკომერციულ] იურიდიულ პირს. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა 2009 წლის 25 ნოემბერს #4412 ბრძანებით, მოწმობის #001

ასოციაციაში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა - 2;
ასოციაციის მიზანია:

- იმ ფიზიკური პირების დახმარება, რომელიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას ან ადაპტაციას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირების, მათ შორის ინვალიდების, მოხუცებულების, ობოლ ბავშვების, მარჩენალდაკარგულების, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების, ავადმყოფების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრების, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულების მხარდაჭერა;
- ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბავშვთა სახლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, სამედიცინო დაწესებულე-ბებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის დახმარება:
- სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირების ტალანტის განვითარების ხელშეწყობა:
- საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება;
- ანალოგიური მიზნებისა და ამოცანების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება:

### ინფორმაცია შემოსავლების შესახებ

2014 წლის განმავლობაში ასოციაციის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა სს „თიბისი ბანკი".

2014 წლის განმავლობაში სს „თიბისი ბანკიდან" შემოწირულობის სახით მიღებულია 739 000 ლარი;

2014 წელს ასოციაცია თიბისისა და შპს „ემ ბი სი გორგიას" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში შემოწირულობის სახით მიღებულია 28 625 ლარი.

2014 წელს „კავკასიის განვითარების ფონმა" შემოწირულობის სახით ჩარიცხა 100 000 ლარი, თუშეთში ვიზიტორთა თავშესაფრის მოწყობა-რეაბილიტა-ციისათვის.

სულ შემოწირულობის სახით სახით მიღებულია 867 625 ლარი.

### ინფორმაცია ასოციაცია „თიბისის" მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ასოციაციამ სს „თიბისი ბანკის" მხარდაჭერით განახორციელა საზოგადოე-ბისათვის სასარგებლო საქმიანობა შემდეგ სფეროებში: გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება, ადამიანის უფლებების დაცვა. სს „თიბისი" ბანკის შემოწირულობით ასოციაციამ შეძლო ფინანსური დახმარება გაეწია რელიგიური ორგანიზაციებისათვის, ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი და მომსახურე ორგანიზაციებისათვის, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის.

### ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხარჯების დაფინანსება

ააიპ საქველმოქმედო ასოციაცია „თიბისი" ეხმარება იმ ფიზიკურ პირებს, რომელთაც მძიმე ფინანსური მდგომარეობის ფონზე ესაჭიროებათ ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ასოციაცია ეხმარება მათ მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და სტაციონალური მკურნალობის ხარჯების დაფარვაში. ასოციაციამ 2014 წლის განმავლობაში დაეხმარა 45 ადამიანს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯების დაფარვაში, რაზეც გაიღო 159 080 ლარი;

### სოციალური პროგრამა

2014 წლის განმავლობაში ასოციაცია „თიბისი" ეხმარებოდა და თანადაფინანსებას უწევდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებდნენ სოციალურ პროექტებსა და საქველმოქმედო აქციებს.
სოციალური დახმარების სახით ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად 2014 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი შეადგენს 70 181 ლარს.
ასოციაცია ასევე ფინანსურ დახმარებას უწევს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ არასრულწლოვან ლიკა კეკომშვილს, რაზეც გადარიცხულია 2 200 ლარი;

### ბალანსი - ააიპ "საქველმოქმედო ასოციაცია თიბისი"

პერიოდი: 01/01/2014- 31/12/2014

ქართული ლარი, საბალანსო, ნაერთი, რაოდენობა: 1, კურსი: 1.0000

| | | |
|---|---|---|
| **1 - აქტივი** | | |
| 1000 - მიმდინარე აქტივები | | |
| **1100 - ნაღდი ფული სალაროში** | | |
| | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 10626.35 | 5621.14 |
| | **10626.35** | **5621.14** |
| **1200 - ფული საბანკო ანგარიშზე** | | |
| | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 14599.98 | 29.98 |
| 1220 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 7.77 | 2.79 |
| 1480 გადახდილი ავანსები | 47623 | 23176 |
| | **62230.75** | **23208.77** |
| **1600 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი** | | |
| 1600 საქონელი | 1923,94 | 8540.44 |
| | **1923,94** | **8540.44** |
| **1900 - სხვა მიმდინარე აქტივები** | | |
| | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 1910 სხვა მიმდინარე აქტივები | 17149.12 | 2025.91 |
| | **17149.12** | **2025.91** |
| **2100-ძირითადი საშუალებები** | | |
| | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 2160 ოფისის აღჭურვილობა | 4629.05 | 6007,05 |
| | **4629.05** | **6007,05** |
| **სულ მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები** | **96559.21** | **45403.31** |
| **2 - პასივი** | | |
| 5000 - საკუთარი კაპიტალი | | |
| **3100 - ვალდებულებები** | | |
| | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 3110 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | -650 | -650 |
| | **-650** | **-650** |
| **5400 - რეზერვები და დაფინანსება** | | |
| | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 5440 მიზნობრივი დაფინანსება | -95909.21 | -44753.31 |
| | **-95909.21** | **-44753.31** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | **96559.21** | **45403.31** |

აბსოლუტ მენეჯმენტ ჯორჯია - მარინე ქევხიშვილი

### განათლებისა და ხელოვნების დაფინანსება

ასოციაცია კვლავ აგრძელებს ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარებას მათი განათლების დაფინანსების გზით. ასოციაციამ ფინანსური დახმარება აღმოუჩინა იმ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლობდნენ საქართველოს თუ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში და საჭიროებდნენ ფინანსურ მხარდაჭერას. ასოციაციამ დააფინანსა 16 ნიჭიერი ახალგაზრდის განათლება, რაზედაც გაიღო 29 647 ლარი. სტიპენდია დაენიშნა 1 წარჩინებულ მოსწავლეს. 2014 წლის განმავლობაში სტიპენდიის სახით გაიცა 5 415 ლარი

ასოციაცია „თიბისი" ტრადიციულად ეხმარება ხელოვნების სფეროს მუშაკებს შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებაში, საკონცერტო მასალების დამუშავებაში, წიგნებისა და ლექსიკონების გამოცემაში.

ფინანსური დახმარება გაეწია გამომცემლობა „მეგობრობას"-ს წიგნის „ღამისთევის ლოცვა საღმრთო ლიტურგიას" გამოსაცემად, რაზედაც გაიღო 800 ლარი;

1 100 ლარის ფინანსური დახმარება გაეწია აკაკი კენჭოშვილს გერმანიიდან საქართველოში წიგნების ტრანსპორტირებისათვის;

ფინანსური დახმარება გაეწია იროდი ასანიშვილს წიგნის „ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე" გამოსაცემად, რისთვისაც გადაირიცხა 1 875 ლარი;

საფრანგეთსა და იტალიაში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელ ლევან თაქთაქიშვილს გაეწია ფინანსური დახმარება 4 613 ლარის ოდენობით, რის მიზანსაც წარმოადგენდა ქართველი ემიგრანტების მიერ შემორჩენილი საარქივო მასალების მოპოვება-მოძიება.

ფინანსური დახმარება გაეწია ხელოვნების ცენტრი „თბილისი", რაზეც ასოციაციამ გაიღო 2 500 ლარი;

ქართულ ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და სააღდგილმამულო ბანკს გადაერიცხა 4 600 ლარი;

ფინანსური დახმარება გაუწია გამომცემლობა "გრიფონს"-ს, რაზეც ფონდმა გადარიცხა 1 500 ლარი;

ასოციაციამ ფესტივალის „არტ-ვილა გარიყულას" ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა, რაზეც გადარიცხა 8 000 ლარი;

ფინანსური დახმარება გაეწია საქართველოს დამსახურებული არტისტის გურამ ლორთქიფანიძის ბრინჯაოს ქანდაკების დასამზადებლად, რისთვისაც გადარიცხულ იქნა 3 000 ლარი;

კონკურსი „ბიენალე" ეძებს ახალი ტალანტებს, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ასოციაცია და შესაბამისად ქართველ ტალატებს აფინანსებს 12 984 ლარით (5400 ევრო);

ფინანსური დახმარება გაეწია შპს „ვერე პალასს"-3 000 ლარის ოდენობით;

ასოციაციამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა რევაზ გელაშვილს „ცისფერი ტრიოს" კონცერტების ორგანიზებასთან დაკავშირებით, რისთვისაც გაიღო 18 750 ლარი;

ელდარ შენგელაიას გაეწია ფინანსური დახმარება 6 637 ლარის ოდენობით;

დაფინანსდა ქეთი დოლიძის საორგანიზაციო ხარჯები ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე, რაზეც გაიხარჯა 3 750 ლარი;

ფინანსური დახმარება გაეწია ირაკლი ფხაკაძეს საერთაშორისო კონკურსში მონაწილებისათვის, რისთვისაც გადაირიცხა 2 782 ლარი;

დაფინანსდა ყველასათვის საყვარელი მომღერლის - ირმა სოხაძის კონცერტი - 1 250 ლარის ოდენობით;

ფინანსური დახმარება გაეწია კინოხელოვნების ცენტრ „პრომეთეს", რაზეც გადაირიცხა 7 000 ლარი;

და სხვა. სულ: განათლებისა და ხელოვნების სფეროს დაფინანსების მიზნით 2014 წელს ასოციაციამ 122 205 ლარი გაიღო;

### სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

2014 წლის განმავლობაში ასოციაციამ დააფინანსა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, რაზედაც გაიღო 9 087 ლარი;
მათ შორის დაფინანსდა „კალათბურთის სამოყვარულო ლიგა", ფონდი „ჩვენ", გია თორთლაძის ექსპედიციის ორგანიზება და გიორგი დანელიას ველოსიპედის შეძენა;

### რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება

ასოციაცია „თიბისი" ფინანსურ დახმარებას უწევს რელიგიურ ორგანიზაციებს. 2014 წლის განმავლობაში ფინანსური დახმარება გაეწია: ფოკის წმიდა ნინოს სახ. დედათა მონასტერს თანხით 32 400 ლარი; წმ. სამების საკათედრო ლავრის მამათა მონასტერს დაეხმარა 4 545 ლარით; ბარისახოს ღვთისმშობლის მიძინების სახ. ეკლესისას დაეხმარა 15 347 ლარით; წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია- 9 486 ლარი; ზედა ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია 10 650 ლარი და სხვა... სულ ეკლესია მონასტრებისთვის გაწეულმა დახმარებამ შეადგინა თანხა 75 315 ლარი; ასოციაცია დიდი გულისხმიერებით ეკიდება სასულიერო პირთა დახმარებას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. 2014 წელს სასულიერო პირებზე დახმარების სახით გაიცა 28 548 ლარი;

შპს "ბი ემ სი" გორგიასთან" გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ეკლესია მონასტრებს გაეწიათ ფინანსური დახმარება. კერძოდ: მერწყურის ეპოქის საზოგადოების აღორძინების ფონდს 10 000 ლარით; ზეკარის წმ. ანტონ ჭყონდიდელის და იაკობ ხუცესის სახ მონასტერს 10 000 ლარით; „საღვთო სავანე" 3 000 ლარით. სულ მემორანდუმის ფარგლებში გაწეული იქნა დახმარება თანხით 28 195 ლარი

სულ 2014 წელს რელიგიურ ორგანიზაციებსა და სასულიერო პირებზე გაწეულმა დახმარებამ შეადგინა 132 058 ლარი;

### დახმარება სხვა ფონდებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს

ასოციაცია „თიბისი" ტრადიციულად 2014 წლის განმავლობაშიც ფინანსურ დახმარებას უწევდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება, ადამიანის უფლებების დაცვა. შს "თიბისი" ბანკის შემოწირულობით ასოციაციამ შეძლო ფინანსური დახმარება გაეწია ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი და მომსახურე ორგანიზაციებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის. მათ შორის:
საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის ცენტრი 7 000 ლარი;
ააიპ შუბითიძეების საგვარეულო კავშირს „სადმელი" – 2 100 ლარი;
ასოციაცია „ლირა" - 3 000;
ფონდი „პირველი ნაბიჯი საქართველო" – 5 000 ლარი;
„საქართველოს ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანი" - 2 290 ლარი;
ააიპ „ნაბიჯი წინ" - 4 274 ლარი,
ფონდი „ივანანა" - 10 000 ლარი;
დემოგრაფიული განვითარების ფონდი - 23 316 ლარი;
საქართველოს აუტიზმის ასოციაცია - 3 000 ლარი:
ნინო სურგულაძის ფონდი „ნატვრის ხე" – 8 845 ლარი;
საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი „კათარზისი" – 385 ლარი;
ააიპ „წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეთნოგრაფიული ცენტრი" - 1 762 ლარი;
და სხვა.
ჯამში ორგანიზაციებს 2014 წელს გაეწიათ 74 474 ლარის დახმარება.

### ცხენოსნობისა და ისტორიული საჯინიბოების აღორძინება

საქართველოში ცხენოსნობისა და ისტორიული საჯინიბოების აღორძინების მიზნით ასოციაციამ დააფინანსა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სოფელ მუხრანში მდებარე მუხრან ბატონის სასახლის ტერიტორიაზე არსებულ საჯინიბოს აღდგენა-რესტავრაციას და მის ბაზაზე საცხენოსნო კომპლექსის მშენებლობას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასოციაციამ გაიღო 1 630 ლარი

### გაცემული გრანტები

2014 წლის განმავლობაში ასოციაციის მიერ დაფინანსებული იქნა არაერთი საინტერესო პროექტი.
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე გაიცა გრანტები:

1. ქეთევან კორძახია პროექტი –„ქართველი მხატვრების წარდგენა სოტბის აუქციონზე" – 13 889 ლარი;
პროექტის მიზანი:
   - მხატვრებისათვის ახალი არტ-სივრცის შექმნა და მისი პოპულარზაცია;
2. ამირან არაბული პროექტი „მაესტრო და არა მხოლოდ ხევსურეთი"- 4 000 ლარი;
3. სოსო ზვიადაური -6 000 ლარი;
4. „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი"- 60 000 ლარი;
პროექტის მიზანი:
   - მოხდა 4 სრულმეტრაჟიანი და 4 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ნაწილორივი დაფინანსება
   - წარმოებაში ჩაშვებულია ყველა ფილმი
   - ფონდი ახორციელებს საქველმოქმედო საქმიანობას კინოს განვითარების მიზნით
5. გვანცა სუთიძე- 3 750 ლარი;
6. ბიძინა მაყაშვილი - 5 000 ლარი;
7. სატელევიზიო პროექტი „მშვიდობით იარაღო", ოლგა ბაბლუანს გადაერიცხა 10 000 ლარი;
პროექტის მიზანი:
   - მედია წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს;
   - შეიქმნას ნოვატორული ჟანრის გასართობ-შემეცნებითი პროგრამა, განსხვავებული სოციუმის ადამიანებთან ერთად, სადაც მედია გააქრობს მენტალურ ბარიერს, წარმოშობს საზოგადოებრივი ერთიანობისა და სოლიდარობის ჯანსაღ განცდას;
   - პასუხისმგებლობა და ინტერესი „ხალხის" მიმართ, მაყურებლის საკუთარი, პიროვნული პატივისცემის ამაღლება რაც მომავლის რწმენის მთავარი ელემენტია;
8. ზურაბ ქუთათელაძე - 400 ლარი;
სულ გაცემული გრანტი – 103 039 ლარი;

### დაფინანსებული პროექტები

დაფინანსდა შპს „სპეცინჟმშენთან" გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად თუშეთში, ალაზნის თავში, ვიზიტორთა თავშესაფარისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები, რაზეც გადაირიცხა 105 000 ლარი.

# გორელებს მაგთიკომის ორი ოფისი მოემსახურება

**ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი № 9 — ეს მაგთიკომის კიდევ ერთი ოფისის მისამართია. ახალი, რიგით მეორე ოფისი გორში 7 აპრილს გაიხსნა. დღეისთვის საქართველოში მომხმარებელს კომპანიის 48 ოფისი ემსახურება. მათ შორის 12 თბილისში და 36 რეგიონებში. ამას გარდა, კიდევ 5 მობილური ოფისი, დილერების ფართო ქსელი და იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები.**




მიუხედავად იმისა, რომ მობილური სერვისების მართვა თავად ტელეფონიდანაც არის შესაძლებელი, კომპანიის ოფისებს ყოველდღიურად ასობით ადამიანი სტუმრობს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალო კონტაქტი კომპანიასა და კლიენტს შორის ყოველთვის მნიშვნელოვანია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კომპანია უშუალოდ პროფესიული საქმიანობის მაღალ ხარისხთან ერთად უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს 5 ბრენდის (მაგთი, ბალი, ბანი, მაგთიფიქსი, მაგთისატი) 3 მილიონზე მეტ მომხმარებლისთვის მაგთისეული ხარისხის შესაბამის მომსახურებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ მაგთის ბრენდები გორელებისთვის (მთელი რაიონის მასშტაბით), 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ, განსაკუთრებულად ძვირფასი და დაფასებულია. სწორედ მაშინ მაგთიკომი იყო ის კომპანია, რომელმაც რეალურად უზრუნველყო მობილური კავშირის არსებობა. აგვისტოს იმ ცხელ დღეებში კომპანიამ და მისმა თანამშრომლებმა სასწაული მოახდინეს და გორის ანძის გათიშვისას საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც კი მოახერხეს შეენარჩუნებიათ უწყვეტი კავშირი, არ გათიშეს „დავალიანებაში წასული“ აბონენტები (რომელთა დიდი უმრავლესობა ამ რეგიონში იყო კონცენტრირებული, ან ამ რეგიონიდან ლტოლვილი) და მოგვიანებით კი განახორციელეს უპრეცედენტო აქცია — იმ პერიოდში დაგროვილი დავალიანება (დაახლ. 2 მილიონი ლარი) სრულად ჩამოაწერეს მათ პატრონებს.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მაგთიკომის ბრენდებს გორელები განსაკუთრებულად წყალობდნენ? არც მაგთიკომი აკლებს მათ ყურადღებას და ხარება დღეს გორელებმა კომპანიისგან კიდევ ერთი მომსახურების ოფისი მიიღეს საჩუქრად. უკვე გახსნის დღეს მომხმარებელთა რაოდენობამ ცხადყო, რომ გორში მაგთიკომს ნამდვილად სჭირდებოდა მეორე ოფისი და გორელებსაც, ფაქტია, უფრო მეტი კომფორტი შეექმნათ.




„მაგთიკომს გორში მომხმარებელთა დიდი რაოდენობა ჰყავს. ამიტომ მეორე ოფისი აუცილებელი იყო. ახლა მოხდება მათი გადანაწილება და მომსახურება უფრო კომფორტული იქნება — განაცხადა **გორის ახალი ოფისის მენეჯერმა თამარ ქართველიშვილმა** — ამასთანავე უფრო ხელმისაწვდომი გახდა მობილური მომსახურებისა და მობილური ტელეფონების ერთდროულად შეძენა. ჩვენს ოფისში მობილური აპარატების საკმაოდ დიდი ასორტიმენტია წარმოდგენილი. ამასთანავე აქ შეძენილ ტელეფონს მოჰყვება ბონუსები და აქვს საკმაოდ ხანგრძლივი გარანტიაც, შესაძლებელია მათი განვადებით ყიდვაც.“






გახსნა, რა თქმა უნდა, საზეიმო ვითარებაში ჩატარდა, პირველი დღის მომხმარებლებს სამახსოვრო საჩუქრებიც ერგოთ. გახსნის შემდეგ ახალ ოფისში შეკრებილ მომხმარებლებლებიდან მობილური ტელეფონით დაჯილდოვდა მინი ვიქტორინის 3 გამარჯვებული. საზეიმოდ გაიჭრა ტორტი... ახალ ოფისში დამატებით დასაქმდა 6 ახალი თანამშრომელი (კომპანიის რეგიონალურ ოფისებში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა).



3 დღის განმავლობაში (7, 8, 9 აპრილს) მაგთისატისა და მაგთიფიქსის მოსურნეთათვის განხორციელდება სპეციალური აქცია:

— მაგთი ფიქსის ტელეფონი — მხოლოდ 10 ლარად — ნომრის ანგარიშის მხოლოდ 5 ლარით შევსებისას;

— მაგთისატში უფასოდ ჩართვა და პირველი თვე 104 არხი — მხოლოდ 10 ლარად;

— ბანის სიმ-ბარათი საჩუქრად — ანგარიშის 1 ლარით შევსებისას, რომლითაც გააქტიურდება პოპულარული „ტარიფი ზერო“



„მაგთიკომს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომსახურების ფართო ქსელი აქვს შექმნილი. ამჯერად, მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის შესაქმნელად „მაგთიკომმა“ გორში მე-2, ქვეყნის მასშტაბით კი რიგით 48-ე მომსახურების ოფისი გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელს დამოუკიდებლად შეუძლია სერვისების მართვა მობილური ტელეფონიდან, ან ინტერნეტის საშუალებით, მომსახურების ოფისები სრული დატვირთვით მუშაობენ და ყოველდღიურად ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან“, — განაცხადა **„მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა.**

„მაგთის მომხმარებელი ვარ ძალიან დიდი ხანია. გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ გორში „მაგთიკომის“ კიდევ ერთი ოფისი გაიხსნა. ეს ოფისი ჩემს სახლთან ახლოს არის და შემოვიარე. მოულოდნელად ამ გათამაშებზე აღმოვჩნდი. დაისვა კითხვა, როდის გამოჩნდა ბაზარზე ბანი და მაშინვე ვუპასუხე, რომ ეს იყო 2010 წელი. ბანი ჩემი საყვარელი ბრენდია და ამ კითხვაზე პასუხი, ბუნებრივია, ვიცოდი. მოულოდნელად, ეს შესანიშნავი ტელეფონი გადმომცეს საჩუქრად. უზომოდ გახარებული ვარ და ძალიან დიდ მადლობას ვუხდი კომპანიას“, — აღნიშნა ტელეფონით ხელდამშვენებულმა **გიორგი აბრამიშვილმა.**

**გულისაბედაშვილი ქეთევანი, მომხმარებელი:** მე დიდი ხანია რაც მაგთიკომის ქსელით ვსარგებლობ. მომწონს, რომ გაიხსნა მაგთიკომის მეორე ოფისი. დღეს დამატებით შევიძინე სიმ-ბარათი ჩემი შვილისთვის.

„არაჩვეულებრივი ოფისია, დახვეწილი ინტერიერი, ისეთი, როგორიც „მაგთიკომს“ შეეფერება. ეს ოფისი ჩემს სახლთან ახლოს არის და ძალიან მიხარია. მე ბანის მომხმარებელი ვარ და ძალიან კმაყოფილი ვარ, იმიტომ, რომ სასაუბრო და ინტერნეტის ტარიფები არის იაფი.

რაც მთავარია, ქსელი და მომსახურება არის მაღალი დონის. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ქალაქი „მაგთიკომის“ კიდევ ერთმა ლამაზმა სერვის-ცენტრმა დაამშვენა“, — ამბობს **გორელი ლია ინაური.**

„რამდენი ხანია მაგთი ფიქსის ტელეფონის შეძენა მინდა. პირველი ოფისი აქედან საკმაოდ შორია და რატომღაც ვეღარ მოვახერხე იქ წასვლა. ეს ახალი ოფისი, რომ დავინახე მაშინვე აქ მოვედი და აგერ ტელეფონიც შევიძინე. ყველა ჩემს ახლობელს მაგთი ფიქსი აქვს და ახლა მათთან იაფად ვისაუბრებ“, — თქვა **დალი კაპანაძემ.**

# ბიძინა ივანიშვილი ფონდის შეღავათებს საკუთარი სახსრებით დაფარავს



საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთმა მთავარმა ინვესტორმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფონდის მიერ მიღებული ყველა შეღავათი საკუთარი სახსრებით დაფაროს.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადების მიხედვით, ბიძინა ივანიშვილმა შენიშვნა მისცა ფონდის მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობას, რადგან სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მასთან შეუთანხმებლად ხდებოდა.

ამასთან, ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, საკუთარი სახსრებით დაფაროს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფონდის მიერ მიღებული ყველა შეღავათი.

შეღავათების დაფარვა მხოლოდ ივანიშვილის კაპიტალით განხორციელდება, შესაბამისად, ეს თანხები არ დააწვება ტვირთად ფონდის სხვა ინვესტორებს და პარტნიორ კომპანიებს.

◆ ◆ ◆

საყურადღებოა, რომ იმავე განცხადების მიხედვით, ფონდის მმართველი კომპანია არ იზიარებს ივანიშვილის შენიშვნას, „რადგან მისი ხელმძღვანელობა, მანდატის შესაბამისად, ავტონომიურად იღებს ბიზნესთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას და არ აქვს ფონდის ინვესტორებთან მათი შეთანხმების ვალდებულება; ამასთან, საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, ისევე როგორც საქართველოს მასშტაბით მოღვაწე სხვა 100-ზე მეტი კომპანია სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით მონაწილეობდა“.

**განცხადებაში შემდეგ ნათქვამია:**

— ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ხსენებული სახელმწიფო პროგრამები ხელს უწყობენ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რათა მან მაქსიმალურად გაუწიოს კონკურენცია მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ სუბსიდირებულ იმპორტს.

# კვირიკაშვილი: ხელისუფლება საბანკო დეპოზიტების დაბეგვრას არ განიხილავს“



საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების დაბეგვრის თემა ხელისუფლებას არ წამოუწევია. ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტის კითხვაზე საპასუხოდ განაცხადა.

— დეპოზიტები, რომლებიც საბანკო სექტორშია განთავსებული, ისევ და ისევ ეკონომიკას ემსახურება და მის დაკრედიტებაზე მიდის. მე მგონი, უფრო უპრიანია, ვისაუბროთ იმ ალტერნატიულ არხებზე, სადაც შესაძლებელია, ეს რესურსი დაბანდდეს, — განაცხადა მინისტრმა.

კვირიკაშვილის თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა განვითარდეს საფონდო ბაზარი.

— მე მგონი, ეს არის საკითხის გადაწყვეტა და არა დეპოზიტების დაბეგვრის შემოღება, — მინისტრმა.

საბანკო დეპოზიტების დაბეგვრის მოთხოვნა „კომერსანტთან“ საუბარში რამდენიმე ექსპერტმა გაახმოვანა.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დანაზოგების დიდი ნაწილის საბანკო დეპოზიტებზე განთავსება ხელს უშლის ეკონომიკის სხვა სეგმენტების განვითარებას. მათი თქმით, აღნიშნული გადასახადის შემოღება იქნება სტიმული, რომ ფული გავიდეს საბანკო არხების გარეთ და მოხდეს ალტერნატიული ფინანსური ბაზრის განვითარება.

საქართველოს ბანკების ასოციაცია უახლოეს მომავალში საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაბეგვრას მიუღებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი, პირველ რიგში, საპროცენტო განაკვეთების ზრდას და ეკონომიკის კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს.

# გალერეა თბილისი“ უნივერმაღ თბილისში“ განთავსდება



თანაინვესტირების ფონდმა ცოტა ხნის წინ ყოფილი უნივერმაღ „თბილისის“ შენობა შეიძინა.

ამასთამ დაკავშირებით, ფონდმა შეძენასთან განმარტებები გააკეთა.

როგორც ფონდში „კომერსანტს“ განუცხადეს, ფონდმა შენობა ჰოლანდიურ საინვესტიციო ჯგუფ „დორიფორისგან“ შეისყიდა. აქ თანამედროვე, ა კლასის სავაჭრო ცენტრი „გალერეა თბილისი“ განთავსდება.

პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება §70 მლნ ამერიკულ დოლარს აღემატება და იგი მიზნად ისახავს ქალაქის ცენტრში არსებული ძველი კომერციული ფართის რეკონსტრუქციას. ა კლასის სავაჭრო ცენტრის ჯამური სავაჭრო ფართი 22.000 მ² იქნება.

შენობის სამხრეთ ნაწილში 300-მდე ავტომობილზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომი მოეწყობა, რაც საგრძნობლად შეამცირებს ქალაქში პარკირების პრობლემას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტირების დასკვნით ნაწილზე მუშაობა და მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყება და 2017 წლის ზაფხულში დასრულდება. ამავე წლის შემოდგომაზე „გალერეა თბილისი“ ოფიციალურად გაიხსნება.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი ამბობს, რომ ინვესტიცია, რომლის მოცულობა 70 მლნ დოლარს აღემატება, ქალაქის ცენტრში წლების მანძილზე უმოქმედო შენობის და გაჩერებული პროექტის განახლებას მოემსახურება.

— ძველი კონსტრუქციის ჩანაცვლებით „გალერეა თბილისი“ სრულყოფს რუსთაველის გამზირის საწყისი მონაკვეთის იერსახეს და უცხოელი ტურისტების მიზიდულობის ახალი ცენტრი გახდება — აცხადებს ბაჩიაშვილი.

მისი თქმით, ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის გაჯანსაღების საქმეში.

— იგი ხელს შეუწყობს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას და საერთაშორისო ბრენდების შემოსვლას. პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოებზე სხვადასხვა პერიოდში დასაქმებულთა რიცხვი ჯამში 1.000 ადამიანს გაუტოლდება, — ამბობს ბაჩიაშვილი.

კომმერსანტ.გე

# ქართული ღვინის ექსპორტი 67%-ით დაეცა


გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83


ქართული ღვინის ექსპორტი 2015 წლის პირველ კვარტალში 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა.

იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიოს 25 ქვეყანაში ექსპორტირებულია მხოლოდ 5.100.184 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 67%-ით ნაკლებია, ვიდრე 2014 წლის I კვარტალში.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში ექსპორტის კლებას უმთავრესად 2 უმსხვილეს ბაზარზე — რუსეთსა და უკრაინაში არსებული შემცირებით ხსნიან. პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტი 83%-ით დაეცა, უკრაინაში — 63%-ით.

ამავდროულად გაზრდილია ექსპორტი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე ჩინეთში (64%), იაპონიაში (194%), კანადაში (250%), დიდ ბრიტანეთში (130%), ესტონეთში (15%), პოლონეთში (3%).

— მარტი ექსპორტის თვალსაზრისით უფრო აქტიური იყო, ვიდრე იანვარი და თებერვალი. იანვარში ექსპორტი შეადგენდა 1.343.018 ბოთლს, თებერვალში — 1.558.631 ბოთლს, მარტში — 2.198.535 ბოთლს, — განმარტავენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

მეწარმეების პროგნოზით, აპრილ-მაისიდან ღვინის გადაზიდვები უფრო გააქტიურდება და ექსპორტი უფრო მოიმატებს, ვინაიდან ერთ-ერთ მსხვილ ექსპორტიორ ქვეყანაში, რუსეთში რუბლის დევალვაციის პროცესი მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა,

ექსპორტიორ ქვეყნებს შორის, მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, კვლავაც რუსეთი ლიდერობს, სადაც 1.823.241 ბოთლი გავიდა. შემდეგ მოდიან ყაზახეთი -—1.028.592, უკრაინა — 655.110, ჩინეთი — 364.778, პოლონეთი — 352.658 ბოთლი.

# ირმა ინაშვილი: მე რომ სკოლა დავამთავრე, შალვა აბულაძე პირველ კლასში იყო“

## რატომ აბრალებენ ირმა ინაშვილს შალვა აბულაძის მფარველობას

მარიკა მჭედლიშვილი



6 აპრილს „ედიტორმა“ გამოაქვეყნა სკანდალური მასალა. მის მიხედვით, პოლიციელ ბექა მარგიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი შალვა აბულაძის ამნისტიით გამოშვება ირმა ინაშვილის დამსახურებაა.

აი, რა უთხრა ანონიმურმა წყარომ „ედიტორს“:

— შალვა აბულაძე ყაჩაღობისა და მკვლელობის მცდელობისთვის იხდიდა სასჯელს. ის 20 წელი უნდა მჯდარიყო ციხეში, თუმცა 2013 წელს ამნისტიის შედეგად გაათავისუფლეს. ამ ამბავში დიდი წვლილი მიუძღვის მისი ბავშვობის მეგობარს ირმა ინაშვილს. სწორედ მასთან მუშაობდა წლების განმავლობაში შალვა აბულაძის და. ამის სანაცვლოდ შალვა აბულაძე 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს აქტიურ დახმარებას უწევდა ირმა ინაშვილს და მისი პარტიის ლიდერების: თემურ ღონღაძის, თანგულ ორთოიძის, მერაბ კვარაცხელიას და სხვების ინტერესებს იცავდა ბორჯომში.

ანონიმის თქმით, შალვა აბულაძე ეხმარებოდა ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის ლიდერებს, რომლებიც წლებია ცდილობდნენ მოეპოვებინათ ბორჯომის წყლის ჩამოსხმის ლიცენზია. რის გამოც შალვა აბულაძის ორგანიზებით მოეწყო აქცია IS ბორჯომის წინააღმდეგ.

— მაქვს ეჭვი, რომ სწორედ ირმა ინაშვილი ეხმარება შალვა აბულაძეს, — განაცხადა ანონიმურმა წყარომ.

◆ ◆ ◆

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა, მათმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიასაშუალებებმა მის წინააღმდეგ ბინძური კამპანია წამოიწყეს.

ირმა ინაშვილი, რომელიც მედიაკავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელია, აღიარებს, რომ შალვა აბულაძის და, სალომე აბულაძე, გარკვეული ხნის განმავლობაში „ობიექტივის“ ერთ-ერთი წამყვანი იყო. მის ძმას, შალვას კი საერთოდ არ იცნობს და ახლოდან არც უნახავს.

— მისი და, სალომე აბულაძე, მუშაობდა „ობიექტივში“ წამყვანად. აქ 130-ზე მეტი წამყვანია. ის კარგი ადვოკატია და კარგად უძღვებოდა გადაცემებს, ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებდა იმ მძიმე პერიოდში პატიმრების დასახმარებლად. არანაირი უფლება არა გვაქვს, დას მოვთხოვოთ პასუხი იმის გამო, რომ ძმამ დანაშაული ჩაიდინა. ამას ბოლშევიკები აკეთებდნენ, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მანვე თქვა, რომ ის და შალვა აბულაძე ერთ სკოლაში სწავლობდნენ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს:

— მე 1986 წელს დავამთავრე ბორჯომის პირველი საშუალო სკოლა. ის მაშინ პირველკლასელი იყო.

ირმა ინაშვილი იმედოვნებს, რომ ცილისმწამებლები მომავალში მაინც დაისჯებიან. იგი აღნიშნავს, რომ მისი და მისი გუნდის საწინააღმდეგო საინფორმაციო ომში დიდი ფული იხარჯება. პირდაპირ ეთერში კი ასეთი ტრადიციებია:

— ყველა ეთერში, სადაც მივდივარ, ჩემ შემდეგ აუცილებლად უნდა გამოვიდნენ „თავისუფალი ზონის“, ან ნაცმოძრაობის სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების ახალგაზრდები და აუცილებლად უნდა თქვან, ირმა ინაშვილო, შენ ხარ სამშობლოს მოღალატეო.

იგი ამბობს, რომ მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც „ებრძვიან ბოროტებას ნაცმოძრაობის ლიდერების დასჯის სახით“. ასეთებს ხოცავენ. ნაწილი ჩუმდება. თუმცა, ყველას ვერ მოერევიან:

— ჩვენ ვერ გაგვაჩუმებენ. შავი კამპანიით ჩვენს გუნდს ვერ გააჩერებენ. ვიბრძოლებთ სამართლებრივი და სხვა ფორმებით. ნაციონალების ლიდერების მიზანია, შეცდომაში შეიყვანონ გამოძიება, რათა მან რეალური მკვლელი არ დააპატიმროს. სულაც არ გამოვრიცხავ. რომ აბულაძეს სწორედ ნაცმოძრაობა მფარველობდეს.

# ეშველება თუ არა ხურვალეთის ორად გაყოფილ სასაფლაოს?

მარიკა მჭედლიშვილი

2008 წლის ომის შემდეგ საქართველოში საქმიანობა დაიწყო ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიამ. მისი ოფისები, თბილისის გარდა, მცხეთაში, გორსა და ზუგდიდშიც მუშაობს. მისიაში 250 უცხოელი და 100-ზე მეტი ადგილობრივი თანამშრომელი მუშაობს.

— ჩვენი ამოცანაა სტაბილიზაცია, ნორმალიზაცია, ნდობის აღდგენა და ანგარიშების მიწოდება მათთვის, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს, — განმარტავს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი კიასუკის იანსკაუსკასი.

ევროკავშირის მისიის მანქანები, ძირითადად, კონფლიქტური ზონების სიახლოვეს პატრულირებენ, თუმცა, საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილდებიან.

— ვაკვირდებით, რა მდგომარეობაა, ვეკონტაქტებით მოსახლეობას, ვავდივართ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დასახლებებში. ასევე, შეიარაღებული ძალების სატრენინგო მოედნებზეც. ურთიერთგაგების მემორანდუმები გვაქვს გაფორმებული საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, — აცხადებს მისიის ხელმძღვანელი.

ევროკავშირის დამკვირვებლებისათვის ცნობილია ადამიანების დაკარგვის, ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისათვის დაკავების, საკუთრების ხელყოფის ფაქტები. ამ თემებს ისინი ოსურ მხარესთან, ასევე რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად იხილავენ.-ყოველთვიურად ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში იმართება შეხვედრები.

კიასუს იანსკაუკასზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ხურვალეთმა, სადაც ახალი მავთულხლართებია, ანუ, მისი თქმით, „ადმინისტრაციული საზღვარი“ ყოფს სასაფლაოს და ამ სოფლის მცხოვრებლები ახლობლების საფლავებზე ვერ გადიან. ამ თემაზე ერგნეთში უკვე გამართულა მსჯელობა. შედეგიანი იქნება ის თუ არა, დრო გვაჩვენებს.

მისიის ყოფნის ვადა (თუ არ გაგრძელდა) 2016 წლის ბოლომდე გრძელდება. სოხუმსა და ცხინვალში დამკვირვებლები ვერ ჩადიან. თუმცა, მათ იქიდან ინფორმაციები აქვთ. ინციდენტების პრევენციასთან დაკავშირებული შეხვედრები ადრე გალშიც იმართებოდა. თუმცა, 2012 წლიდან ეს პროცესი შეწყდა.

— მისიის საქმიანობა დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები რეგიონსა და უკრაინაში, — აღნიშნავს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი.

# გომელაური: კორტების საქმეზე დაკავებული სპეცრაზმელები არასწორ ბრძანებას შეეწირნენ“

## „ვცდილობთ, ეს ადამიანები მსუბუქი სასჯელით გამოვიდნენ“



**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური არ მიიჩნევს, რომ ქვეყანაში კრიმინალი გაიზარდა. ამის შესახებ გომელაურმა ჟურნალისტებს გუშინ, 8 აპრილს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.**

— როცა დღე და ღამე ტელევიზიები პირდაპირ ეთერში ატრიალებენ, რომ მოკლეს, უბედურება ხდება, დაიქცა ქვეყანა, აქედან გამომდინარე უბრალო მოქალაქე იტყვის, რომ გაიზარდა კრიმინალი,— განაცხადა შს მინისტრმა.

მისი თქმით, რამდენიმე დღეში გამოქვეყნდება სტატისტიკა.

— ეს არ არის ძველი მეთოდოლოგიით გამოთვლილი. ამაში ჩართული იყვნენ ევროპელი პროფესიონალები და ექსპერტები. ასე რომ, მარტო ჩვენი გაკეთებული არ არის და შარს ვერავინ მოგვდებს, რომ რაღაც შევცვალეთ,— განაცხადა გომელაურმა.

მინისტრმა კომენტარი გააკეთა მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტზე, რომლის მიხედვითაც, პოლიციელის სოციალური დახმარება სამხედრო პირთა სოციალურ დახმარებას გაუტოლდება და 100 ათასი ლარი გახდება.

— მხარს ვუჭერ და მოხარული ვარ ამ ინიციატივით. ეს ადამიანები იბრძვიან თავისი ქვეყნისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, ომში დაიღუპები თუ ქუჩაში კრიმინალთან ბრძოლაში. ასე რომ, მე მხარს ვუჭერ ამ წინადადებას, — აღნიშნა გომელაურმა.

მინისტრი სპეცრაზმელების თემასაც შეეხო,იგი მიიჩნევს, რომ ე.წ. კორტების ოპერაციის საქმეზე დაკავებული სპეცრაზმელები არასწორი ბრძანების შესრულებას შეეწირნენ.

მინისტრის თქმით, კანონით ეს ისჯება.

— ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს ადამიანები მსუბუქი სასჯელით გამოვიდნენ, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი არიან სპეცდანიშნულების დანაყოფის წევრები და მიიღეს არასწორი ბრძანება,— აღნიშნა გომელაურმა.

აქვს თუ არა სპეცრაზმელს უფლება, შეაფასოს, არის თუ არა ბრძანება უკანონო?

მინისტრის თქმით, კანონი ავალებს სპეცრაზმელს, რომ უკანონო ბრძანება არ შეასრულოს.

ამასთან, გომელაურმა განაცხადა, რომ 10 წლის განმავლობაში თავადაც სპეცრაზმელი იყო.

— თქვენ შეიძლება არ იცით, მაგრამ მე 10 წელი ვიმსახურე მანდ. რა თქმა უნდა, რომ მიბრძანოს ხელმძღვანელობამ: მოკალი ეს ბავშვი, დაცხრილე, მე არ უნდა დამეცხრილა. ეს არ უნდა შეასრულო, — განაცხადა გომელაურმა.

გუშინვე ამავე საკითხზე კომენტარი პრემიერმა ღარიბაშვილმაც გააკეთა.

— მიმაჩნია, რომ არასწორია სპეცრაზმელების დაკავება შესრულებული დავალებების გამო, — განაცხადა მან.

პრემიერის თქმით, დაკავებულ სპეცრაზმელთა საქმეზე მუშაობენ როგორც პროკურატურა, ისე შს სამინისტრო.

— ვინც არის უკანონო დავალების გამცემი, სწორედ მისი პასუხისმგებლობით უნდა დაწყებულიყო გამოძიება და ჩვენ ყველამ ვიცით, ვინც გასცემდა ამგვარ დავალებებს წინა ხელისუფლების დროს. ისინი იყვნენ პრეზიდენტი და მინისტრი. რაც შეეხება დაკავებულ სპეცრაზმელებს, ამ საკითხზე მუშაობენ შინაგან საქმეთა მინისტრი და პროკურატურა, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კორტების სპეცოპერაციის, კერძოდ ზურა ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის საქმეზე 11 პირია დააკავებული, მათ შორის არიან სპეცრაზმელებიც — იასონ მილაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ზურაბ ჯოხაძე, დავით ალელიშვილი, სოსო ჩაკვეტაია და ალექსანდრე სანიკიძე.

# გიგა ბუკია: პოლიციელის სოციალური დაცვის ინიციატორები ჩვენ ვართ“

## „ნაციონალების ნაცვლად მრცხვენია“



მას შემდეგ, რაც თბილისში პოლიციელი მოკლეს, საპარლამენტო უმცირესობა ღიად ალაპარაკდა, რომ ამ ქვეყანაში დაცულები სამართალდამცავებიც კი არ არიან. არადა, რეალურად, ბოლო 2 წლის განმავლობაში გაორმაგდა პოლიციელების და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო მკურნალობის დაფინანსება, ფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა, პოლიციის თანამშრომლები კომპენსაციას იღებენ დაქორწინების, შვილის შეძენის და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ხელფასები გაეზარდათ პატრულ-ინსპექტორებსა და მესაზღვრეებს, დახმარებას იღებენ მრავალშვილიანი პოლიციელები.

ამას გარდა, ხელისუფლება ინიციატივით გამოდის, რომ პოლიციელის სოციალური დაცვის პაკეტი სამხედროებისას გაუთანაბდრეს.

შეგახსენებთ, რომ სამსახურეობრივი მოვალეობისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები ერთჯერად 100 ათას ლარიან დახმარებას იღებენ და პარალელურად, ყოველთვიურად 1.000 ლარიანი პენსია ენიშნებათ. ანალოგიური პაკეტის გაკეთებას ხელისუფლება პოლიციელთათვისაც ფიქრობს, თუმცა ნაციონალური მოძრაობის წევრებმა მოვლენებს დაასწრეს და ანალოგიური ინიციატივა თავად გააჟღერეს და ეს მაშინ, როცა კანონპროექტი უკვე დევს და მისი ავტორი გიგა ბუკიაა.

— გუშინ მოვისმინე ერთ-ერთი ე.წ. ოპონენტის გამოსვლა, თითქოს მათი ინიციატივაა, რომ დაღუპული პოლიციელების სოციალური დახმარება სამხედროებისას გავუთანაბროთ. ეს ადამიანები 9 წლის განმავლობაში იყვნენ ხელისუფლებაში და შეეძლოთ, ეს გაეკეთებინათ, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, 100 ათას ლარიანი დახმარება არის „ჩვენი ინიციატივა — ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა“.

— სწორედ მის დროს დაენიშნათ ერთჯერადი კომპენსაციის სახით 100 ათასი ლარი გარდაცვლილ სამხედროებს და ასევე მათი ოჯახის წევრებს 1.000 ლარიანი კომპენსაცია. ჩვენ მზად გვაქვს კანონპროექტი იმის თაობაზე, რომ მოხდეს დაღუპული სამხედროების სოციალურ გარანტიებთან იმ პოლიციელების გათანაბრება, რომლებიც დაიღუპნენ ომში, ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, კრიმინალთან ბრძოლაში. როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ეს შეიტყვეს, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რა გამოდის? იმას, რაც უკვე არსებობს, ნაციონალები ახლიდან უკეთებენ ინიცირებას და ცდილობენ, საკუთარ თავზე დაიბრალონ ის, რაც უკვე პრაქტიკულად გაკეთებულია.

ჩვენ კანონპროექტის ავტორს, დეპუტატ გიგა ბუკიას დავუკავშირდით.

**გიგა ბუკია:**

— პოლიციელის სოციალური დაცვის გარანტიის ინიციატორი ზოგადად ხელისუფლება და უმრავლესობაა. ეს საკითხი ჯერ კიდევ შარშან დაისვა, ერთ-ერთი შეხვედრის დროს იყო გაჟღერებული. მე ვიყავი მომხსენებელი მსგავს საკითხთან დაკავშირებით, როდესაც გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახების სოციალური გარანტიების შესახებ კანონპროექტი იყო ინიცირებული. ამ კანონის მიღების შემდეგ 1.000 ლარს იღებს ის ოჯახი, საიდანაც იყო ის ჯარისკაცი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა.

გიგა ბუკია ამბობს, რომ იყო საუბარი, რომ გაზრდილიყო სოციალური დახმარებები და გავრცელებულიყო პოლიციელებზე, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ.

— ვინაიდან მე ამ საკითხში ღრმად ვიყავი ჩახედული და ჯარისკაცებთან მიმართებაში მიღებულ კანონპროექტზე მომხსენებელი ვიყავი, მთხოვეს მომემზადებინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყოველთვიურ სოციალურ დახმარებას იმ პოლიციელების ოჯახებისთვის, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალნენ. ანუ მათი ოჯახები იყვნენ სოციალურად დაცულები, — განმარტა დეპუტატმა.

მისი თქმით, კანონპროექტი ფაქტობრივად მომზადებულია. მიმდინარეობდა გარკვეული პროცედურები, ვინაიდან დასაზუსტებელი იყო გარკვეული საკითხები, ბიუჯეტში თანხებია მოსაძიებელი და მხოლოდ ეს პროცედურებია ამ ეტაპზე დარჩენილი.

— შეიძლება ვინმემ თქვას, რომ როდესაც კუბლაშვილმა გააჟღერა ეს ინიციატივა, თითქოს იმის მერე დაჩქარებულად მოხდა შექმნა. მე მაქვს ოფიციალური დოკუმენტაცია, წერილები, ოფიციალური მიმოწერა, სადაც აღნიშნულ კანონპროექტზე დოკუმენტებს რამდენიმე თვის წინ ვუგზავნი შსს-ს, ფინანსთა სამინისტროს, სოციალურ სააგენტოებს. ეს დოკუმენტაცია მაქვს და თუ დაინტერესება იქნება, შემიძლია წარმოვადგინო, — განაცხადა გიგა ბუკიამ.

დეპუტატი ამბობს, რომ ნაციონალების ნაცვლად რცხვენია.

— მათ საკმაო პერიოდი ჰქონდათ და თუ მსგავს საკითხს გულშემატკივრობდნენ, ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, თუმცა არცერთხელ არ გახსენებიათ ეს. მინიმალური თანხა, რასაც დღეს დაღუპული პოლიციელის ოჯახი იღებს, არის 33 ლარი და 32 თეთრი. ეს არის ნაციონალური მოძრაობის სახე. ახლა რომ გაახსენდათ პიარისთვის და ტრაგედიას თავიანთი თავის გასაპიარებლად იყენებენ, ეს, რბილად რომ ვთქვათ უნამუსობაა, — განაცხადა დეპუტატმა..

სავარაუდოდ, კანონპროექტის პირველი მოსმენა უახლოეს სხდომაზე გაიმართება.

# რეზო კობახიძე: პოლიციის შენობისთვის არ მისვრია“

არსებული ინფორმაციით, საჩხერეში წუხელ, 7 აპრილს, ცეცხლსასროლი იარაღიდან პოლიციის შენობის მიმართულებით ისროლეს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, პოლიციის შენობას საჩხერის პოლიციის უფროსმა, რეზო კობახიძემ ესროლა.

საჩხერის გამგებელმა, მალხაზ ბაზაძემ სროლის ფაქტი დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ ვერ დაადასტურებს, რომ პოლიციის შენობის მიმართულებით ნამდვილად პოლიციის უფროსმა რეზო კობახიძემ ისროლა.

თავად რეზო კობახიძე კატეგორიულად უარყოფს ამ ინფორმაციას.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კობახიძემ განუცხადა, მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და არც ის შეესაბამება სიმართლეს, რომ საჩხერეში წუხელ სროლის ხმა იყო. პოლიციის უფროსის თქმით, გადამოწმება მარტივია, რადგან პოლიციის შენობას სროლის კვალი არ ეტყობა.

— გავრცელებული ინფორმაცია არარეალურია. აგერ არის შენობა. ერთ ღამეში ხომ ვერ შევღებავდი. მობრძანდით და ნახეთ, არის თუ არა შენობა გადაცხრილული, — განაცხადა რეზო კობახიძემ.

საქართველოს შსს-ს გენერალური ინსპექცია გავრცელებულ ინფორმაციას გადაამოწმებს, რის შემდეგაც შსს შეძლებს კომენტარის გაკეთებს.

# სატვირთო ავტომობილმა მოხუც ქალს გადაუარა

თბილისში, ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე სატვირთო ავტომობილი მოხუც ქალს დაეჯახა. შემთხვევა გუშინ, 8 აპრილს მოხდა.

ტრაილერმა მოხუც ქალს ფეხზე გადაუარა. დაშავებული ქალი ფეხის მძიმე დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის 1 ნაწილით მიმდინარეობს.

შსს-ს ცნობით, მძღოლი სამართალდამცველებს ადგილზე დახვდა.

შემთხვევის ამსახველი ფოტოები სოციალური ქსელით გავრცელდა.



ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნივთიერებათა ცვლის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგრძნობია და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# როგორ მოვიპაროთ დაუბეგრავი მინიმუმი

## საგამოძიებო სამსახური: ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 419.095 ლარი

**სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის დაუფლების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურთან ერთად, გამოავლინა სქემა, რომლის ფარგლებშიც დაკავებული არიან მოქალაქეები: ნანა მენთეშაშვილი, ზურაბ ვაჩეიშვილი, გრიგოლ ძაგანია და ლევან შურღაია, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სალომე დევაძე, ნიკოლოზ ვეკუა, ელეონორა გიორგაძე, ნანი კობახიძე და ვასილ გაბუნია.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ფაქტობრივად არაფუნქციონირებადი საწარმო შპს „პრო მაშინი“-ს ბუღალტერი ნანა მენთეშაშვილი, მისი ყოფილი მეუღლე გრიგოლ ძაგანია და მათი მეგობარი ზურაბ ვაჩეიშვილი ე.წ. „დაუბეგრავი მინიმუმის“ პროგრამის ამოქმედების შემდეგ განზრახ, ყალბი მონაცემების შეტანით აკორექტირებდნენ საწარმოს გასული წლის დეკლარაციებს, რითაც, ფიქტიურად, დასაქმებულად აჩვენებდნენ საქართველოს ათასობით მოქალაქეს.

— ამის შემდეგ, ამ მოქალაქეების სახელით, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან აგზავნიდნენ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციებს და ამ გზით ბიუჯეტიდან უკანონოდ იღებდნენ ე.წ. „დაუბერგავი მინიმუმის“ სახელმწიფოს კუთვნილ თანხას. საერთო ჯამში, ბიუჯეტისათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 419.095 ლარი, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით.

# ტარიელ ფუტკარაძე: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 9 აპრილს უნდა ვიზეიმოთ“

## „1989 წლის 9 აპრილს ყველა პატრიოტი გააზრებულ გმირობაზე წავიდა“

გულიკო ბალაძე

1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე რაც მოხდა, ყველამ ვიცით — საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ უდანაშაულო ახალგაზრდებს სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყო ბარებითა და მხუთავი მომწამლავი გაზით. ამ დღეს მოწყობილი ანგარიშსწორების მსხვერპლი შეიქმნა 21 ახალგაზრდა, უმეტესწილად ქალები. დაიჭრა და მოიწამლა რამდენიმე ათასი ადამიანი. სწორედ ამ დღეს დაღუპულთა სულების პატივსაცემად, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და წარმოთქვა სიტყვები:

— 9 აპრილს დაღუპულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, გფარავდეთ ღმერთი!

❖ ❖ ❖

მიუხედავად ამისა, დღემდე ნაირგვარად ფასდება 9 აპრილიც და მისი თანმდევი მოვლენებიც. ამ დღეს კიდევ ერთხელ შევაფასებთ 9 აპრილის მონაწილესა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერთან, ტარიელ ფუტკარაძესთან ერთად.

***— ბატონო ტარიელ, ზოგი 9 აპრილს ტრაგედიის დღედ მიიჩნევს და გლოვობს, ზოგი უაზრო მსხვერპლად იხსენიებს ამ დღეს დაღუპულთ. რამდენადაც ვიცი, თქვენ ამ დღეს დიდგორის ტოლფას დღედ მიიჩნევთ. რა არის განსხვავებული შეფასებების საფუძველი? როგორია თქვენი, როგორც 9 აპრილის მონაწილისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის თვალსაზრისი?***

— 9 აპრილის დილას საბჭოთა იმპერიამ დაღვარა იმ ქართველთა სისხლი, რომლებიც ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის დაყენებამდე, იყო მცდელობა, თბილისში დაწყებულიყო აქცია, რომელიც დააფიქსირებდა ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირებას, რომ თითქოსდა აფხაზებს დამოუკიდებლობა სურდათ, ქართველები კი ამის წინააღმდეგნი ვიყავით. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა სწორად შეაფასეს ვითარება და კრემლს საშუალება არ მისცეს, მოეხდინა ე.წ. ეთნოკონფლიქტის ფაბრიკაცია. თუმცა, რუსეთის ხელისუფლებამ მაინც შეძლო ეს 3 წლის შემდეგ — 1992 წელს. შედეგად, საქართველო დღემდე გადაუჭრელი პრობლემის წინაშეა. მცირე ჯგუფების გამოყენებით რუსეთმა აფხაზეთში მოაწყო კონფლიქტის პროვოცირება, რათა შეეჩერებინა საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. სინამდვილეში მასშტაბური ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არ არსებობს. მხოლოდ ქართველებთან ძმურ თანაცხოვრებაშია აფხაზი ერის გადარჩენის პერსპექტივა.

***— რა ხდებოდა 1989 წლის აპრილის დასაწყისში?***

— 1989 წლის აპრილის დასაწყისში ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა სწორად შეაფასეს ვითარება და აფხაზებთან დაპირისპირების ნაცვლად მოითხოვეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ იდეამ ბევრი ახალგაზრდა (მათ შორის მეც) მიიყვანა რუსთაველზე დაწყებულ აქციაში. ჩვენი მიზანი ნათელი იყო — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ იდეამ ჩვენ გმირებად გვაქცია. 9 აპრილის ღამეს გააზრებულად ვიდექით ტანკების წინ. პირადად მეც და სხვებმაც ვიცოდით, რომ დიდი ალბათობით სიკვდილი გველოდა, მაგრამ გვიღირდა ეს სიკვდილი სამშობლოსათვის. შესაბამისად, 9 აპრილს დაღუპვა იყო გააზრებული თავგანწირვა და არა — შემთხვევითი სიკვდილი, ანუ ტრაგედია. ვინც 9 აპრილს დაღუპულებს უაზრო მსხვერპლად, ან 9



აპრილს ტრაგედიის დღედ თვლის, ის აქცენტს აკეთებს ადამიანთა სიკვდილზე და არა — ამ ადამიანთა გმირობაზე. 9 აპრილს დაღუპულები და იმ ღამეს იქ მდგომი ყველა პატრიოტი გააზრებულ გმირობაზე წავიდა სამშობლოსათვის. ეს იყო ბრძოლა სამშობლოსათვის, რომელიც იმ ღამესვე ჩვენი მორალურ-ზნეობრივი გამარჯვებით დასრულდა. ორი წლის შემდეგ კი ეს გამარჯვება იურიდიულად გააფორმა 31 მარტის რეფერენდუმმა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტმა.

***— დამოუკიდებლობა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმაც მიიღეს. ხომ შეიძლებოდა, მომიტინგეებს დაეჯერებინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის, შესულიყვნენ ქაშუეთში და ამხელა მსხვერპლიც აღარ ყოფილიყო?***

— სამშობლოსათვის დაღუპული მსხვერპლი არ არის. არასოდეს დამავიწყდება კათოლიკოს-პატრიარქის მოსვლა და ის დუმილი, რომელიც პატრიარქის თხოვნას მოჰყვა. ეს საოცარი წუთები იყო. სწორედ იმ ხანგრძლივი დუმილით რეალიზდა ჩვენი, თქვენი თავგანწირვა სამშობლოსათვის და უდიდესი ზნეობრივი გამარჯვების პოტენცია. პირადად მე ამ დუმილის დროს გავაცნობიერე, რომ მზად ვიყავი, თავი გამეწირა. ამ დროს გამოვიტირე ჩემებიც. სწორედ ამ დუმილის არსია გასააზრებელი, რომ სწორად გავიგოთ 9 აპრილის მოვლენა და 9 აპრილის მონაწილეთა გმირობა. ამ დუმილით ჩვენ ვთქვით: „თქვენო უწმინდესობავ, ვიცით, რომ დღეს შეიძლება დავიღუპოთ, მაგრამ მზად ვართ ამისათვის, ვინაიდან ეს არის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დარჩა ჩვენთან ერთად და ჩვენ ყველამ ერთად — ერმა და ბერმა, გადავძლიეთ შიში სიკვდილისა და დამპყრობელზე ზნეობრივი გამარჯვება მოვიპოვეთ. დამპყრობელზე, რომლის ჯარს ახლა მხოლოდ აფხაზეთი და ცხინვალის მხარე აქვს ოკუპირებული, მაშინ კი თბილისში იყო რუსეთის იმპერიის ამიერკავკასიის შტაბი. სწორედ ეს შტაბი ახორციელებდა საქართველოს, ზოგადად, კავკასიის დაჩოქების რუსულ გეგმას ადრეც, მაშინაც და 1992-93 წლებშიც.

***— ეროვნული მოძრაობის ლიდერთა გადაწყვეტილება, მომიტინგენი წინ აღდგომოდით ტანკებს, ემოციური გადაწყვეტილება იყო, გააზრებული ქმედება თუ უბრალოდ, მათ ვერ დაუშვეს, რომ ამდენ ხალხს ტანკებითა და ნიჩბებით გადათელავდა საბჭოთა ხელისუფლება? თუნდაც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება იმას დაუშვებდა, რაც მოხდა?***

— მაშინ საქართველოს ქართული ხელისუფლება არ ჰყავდა. საქართველოს ე.წ. ხელისუფლება რუსეთის მარიონეტი იყო. შესაბამისად, ვერაფერს წყვეტდა. ჩვენ, რიგით მომიტინგეებს, კარგად გვქონდა გააზრებული, რომ კრემლი არ შეეგუებოდა საქართველოს, კავკასიის დაკარგვას და ყველაფერზე წავიდოდა. ჩვენ არ გვქონდა სხვა გზა — საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისთვის უნდა გვეერთგულა. ვინც იმ ღამეს იქ ვიდექით, ყველამ გააზრებულად გავწირეთ თავი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა სამუდამოდ უკვდავგვეყო.

***— 9 აპრილს მომიტინგეების თავგანწირვა რა შედეგი მოიტანა, დღეისათვის ჯეროვნად შეფასებული არის?***

— 9 აპრილის თავგანწირვა ჯეროვნად შეფასებული დღემდე არ არის. 9 აპრილის მომიტინგეთა გააზრებულმა თავგანწირვამ საქართველოს მოსახლეობის მთავარ ეროვნულ ორიენტირად აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გასული საუკუნის 80-იან წლებშიც კი ვერ იოცნებებდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

9 აპრილის გმირთა თავგანწირვამ დააჩქარა ასევე საბჭოთა იმპერიის რღვევა. დასავლეთმა დაინახა, რომ საბჭოთა კავშირი არც ისეთი მონოლითი იყო, როგორადაც წარმოადგენდნენ საბჭოთა ლიდერები. 9 აპრილი იყო სერიოზული ბზარი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი რუსულ-საბჭოთა იმპერიის დაშლასაც და პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული პროცესების დაწყებასაც.

9 აპრილი ჩემი თაობის გენერალური ბრძოლა იყო. ამ ბრძოლის შედეგია 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი და ის, რომ დღეს საქართველო მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრია.

***— 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს ფაქტი იმითაცაა საინტერესო, რომ დღემდე ვერ გაგვირკვევია, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისს უნდა აღვნიშნოთ თუ 9 აპრილს. როგორია თქვენი თვალსაზრისი?***

— საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, აიეტისა თუ ფარნავაზ-ქუჯის დროს. შესაბამისად, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე არ გვახსოვს. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე შეიძლება ახსოვდეს ისეთ ახალ სახელმწიფოს, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველომ რამდენჯერმე დაკარგა დამოუკიდებლობა და რამდენჯერმე აღიდგინა. ფაქტია, რომ 26 მაისი არ არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. 26 მაისი არის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ჟორდანიას ხელისუფლების მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობა 3 წლის შემდეგ დაამხო საბჭოთა იმპერიამ. მას შემდეგ 70 წელი ვიყავით რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული. უკანასკნელად დამოუკიდებლობა აღდგა 9 აპრილის გმირების თავგანწირვით და 31 მარტის რეფერენდუმის საფუძვლით 1991 წლის 9 აპრილს. მსოფლიოს მიერაც აღიარებულია, რომ საქართველო დამოუკიდებელი გახდა 9 აპრილს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. შესაბამისად, დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ უნდა ვიზეიმოთ 9 აპრილი და არა — 26 მაისი.

## სოზარ სუბარი: „ნაციონალური მოძრაობა ბოდავს“



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა ნაციონალური მოძრაობის წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლის მიხედვითაც დევნილებისთვის ფართების გადაცემის პროცესში ხარვეზებია, უსაფუძვლო უწოდა

სუბარის განცხადებით, ყველა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ოჯახები შეირჩევიან, სამინისტრომ რამდენიმე წლის წინ უკვე განსაზღვრა.

**სოზარ სუბარი:**

— ნაციონალური მოძრაობა ბოდავს. იმიტომ, რომ კრიტერიუმი, თუ როგორ უნდა გაიცეს ბინები, ჩემმა წინამორბედმა შემოიღო. მანამდე ერთადერთი კრიტერიუმი იყო თუ მინისტრი რას გადაწყვეტდა. ფართების გადაცემის პროცესი ძალიან მკაფიო კრიტერიუმების დაცვით მიმდინარეობს.

მინისტრი ნაციონალურ მოძრაობას მოუწოდებს, თუ რამე ინფორმაცია აქვთ დარღვევების შესახებ, სამინისტროს მიაწოდონ

ნიუსპრესი

## ირაკლი შიხიაშვილი: „უდესიანთან კონსულტაციები არ მქონია“

ვეტრანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორის, თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, საკრებულოს უმრავლესობის დაშლის სანაცვლოდ შემდგარი გარიგების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ტყუილზე უფრო დიდი ტყუილია.

ამის შესახებ შიხიაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ირაკლი შიხიაშვილის თქმით, ამ თემაზე მმართველ გუნდთან კონსულტაციები არასდროს არ ყოფილა და მას ადამიანების ფანტაზიის უნარი აოცებს.

**ირაკლი შიხიაშვილი:**

— მჩხიბავების და მისნების თემაზე ნუ მელაპარაკებით. ბიზნესმენ გია უდესიანის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია კი ტყუილზე დიდი ტყუილია. ამაზე არასდროს და არც ერთხელ მმართველ გუნდთან კონსულტაციები არ ყოფილა. მე ძალიან მაოცებს ადამიანების ფანტაზიის უნარი, უფრო სწორად, ამას ფანტაზიაც აღარ ჰქვია.

ნიუსპრესი

უფუნ[ფლტ,ტ,ბ

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისგან განკურნება მაღალეფექტური, მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით, ღვიძლის პრობლემის მოწესრიგება, „პახმელიის“,„ზაპოის“, აგრესიულობის მოხსნა (პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში). სიგარეტის გადაგდება მცენარეული ნაყენებით, ნერვული სტატუსის მოწესრიგება. 551-19-45-08: 558-20-31-35 ნანა ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების — სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. თუ განკურნებისთვის მზად ხართ, დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# დინამომ და სამტრედიამ ფინალისკენ გაიწიეს



<u>დინამო (თბ) – ცხინვალი 2:0</u>

**თბილისი. დინამო არენა**

**1:0 ცინცაძე (20), 2:0 ვოლკოვი (79)**

**დინამო: დაუშვილი, გველესიანი, ცინცაძე, ფერეირა, პარუნაშვილი, შერგელაშვილი, პაპუნაშვილი, კიტეიშვილი (ჯანელიძე 77), ტაბატაძე (კაკაბაძე 68), ჭანტურიშვილი, ჩირგაძე (ვოლკოვი 62)**

**ცხინვალი: ნადირაძე, გ.კილასონია, ჯიშკარიანი, კაჭკაჭიშვილი, ქარდავა (ბურძენაძე 90), ცერცვაძე, ივანიშვილი, თარხნიშვილი, მახარობლიძე, ცაცკრიალაშვილი (მარკოზაშვილი 76), შინდაგორიძე (ლექვთაძე 46)**

„დინამო არენაზე" დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი გაიმართა. კახა გოგიჩაიშვილის გაწვრთნილმა „დინამომ" „ცხინვალს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა მეტოქე.

თამაშის რიტმი არც ისე მაღალი იყო, თუმცა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა დედაქალაქელებმა თავიდანვე მოიპოვეს და მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვიათ.

მე–15 წუთზე ლაშა პარუნაშვილი ურტყამდა ხელსაყრელი პოზიციიდან, ბურთი კი ოდნავ აცდა მეტოქის კარს.

მე–19 წუთზე ვახო ჭანტურიშვილის პასით ოთარ კიტეიშვილი შეიჭრა ცხინვალის საჯარიმოში, თუმცა დინამოელი შემტევი წესის დარღვევით შეაჩერეს, მსაჯმა კი პენალტის ნიშნულისკენ ანიშნა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა მათე ცინცაძემ და ანგარიშიც გახსნა – 1:0.

მეორე ტაიმში „დინამოს" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა დავით ვოლკოვს, რომელიც სათამაშო მინდორზე გიორგი ჩირგაძის ნაცვლად შევიდა და სადებიუტო გოლიც გაიტანა. 79– ე წუთზე მათე ცინცაძემ მოედნის ცენტრიდან ზუსტი პასით მარჯვენა ფრთაზე შეტევაში ოთარ კაკაბაძე ჩართო, მის ჩაწოდებას საჯარიმოში კი პირველი დავით ვოლკოვი გამოეხმაურა – 2:0 დინამოს სასარგებლოდ.

ბოლო წუთები დინამოელებმა აქტიურად ჩაატარეს. გიორგი პაპუნაშვილს, გიორგი ჯანელიძეს და დავით ვოლკოვს შეეძლოთ გატანა, მაგრამ გიორგი ნადირაძემ იყოჩაღა. საბოლოოდ პირველი ნახევარფინალური მატჩი დედაქალაქელთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა.

<u>ჩიხურა – სამტრედია 0:1</u>

**ივანწმინდა. ცენტრალური**

**0:1 თევზაძე (48)**

**ჩიხურა: ქვილითაია, ლუბჩაკი, ლ.ჭელიძე, განუგრავა, მუმლაძე, დეკანოიძე, კორიფაძე, სარდალიშვილი, ივანიშვილი (მანჯგალაძე 62), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი**

**სამტრედია: მუჯრიშვილი, კაკუბავა, ხიზანიშვილი, გ.თევზაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, გორგიაშვილი (კერძევაძე 80), დათუნაიშვილი, იაშვილი (გაბედავა 87), გეწაძე, დოლიძე, კაპანაძე (შარიქაძე 69)**

„სამტრედიამ" ზედიზედ მეორედ მოახერხა „ჩიხურას" დამარცხება და ამ გამარჯვებით ფინალისკენ საკმაოდ დიდი ნაბიჯიც გადადგა.

ივანწმინდაში გამართული მატჩი, როგორც იმერულ დერბის შეეფერება, დაძაბული გამოდგა და სტუმრებმა მინიმალური ანგარიშით იმარჯვეს.

ერთადერთი გოლი 48-ე წუთზე გავიდა და ის ახალგაზრდა, გიორგი თევზაძის, ანგარიშზეა. **მ. ჟ.**

# ზესტაფონი" აღარ ვარჯიშობს და არც თამაშს აპირებს

ქართული გუნდების მძიმე ფინანსური მდგომარეობით უკვე ვერავის გააკვირვებ. როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ბუნებრივია, რომ ეს ყველაფერი ფეხბურთზეც უარყოფითად აისახება.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში" იმდენად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, რომ გუნდი უკვე 2 დღეა, აღარ ვარჯიშობს და საქართველოს ჩემპიონატის მომდევნო ტურის შეხვედრაში ვერ შეძლებს მონაწილეობის მიღებას. ეს შეხვედრა ზესტაფონს ფოთში, ადგილობრივ კოლხეთთან აქვს გასამართი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი უარს აცხადებს გუნდის დაფინანსებაზე. ზესტაფონის საკრებულოს იურიდიული კომისიის ხელმძღვანელის კახა შავგულიძის თქმით, არ არსებობს კლუბის დაფინანსების იურიდიული საფუძველი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არავის სურს ფულის დახარჯვა, ან ჩადება საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში", რაც იმის მაჩვენებელია, თუ როგორი დამოკიდებულებაა საქართველოში ფეხბურთის განვითარების მიმართ.

„ზესტაფონმა" რამდენიმე წლის წინ საქართველოს ჩემპიონატიც მოიგო და ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან კლუბად ითვლებოდა. ჯერჯერობით უცნობია, რა გამოსავალს ნახავენ შექმნილი მდგომარეობიდან გუნდის მესვეურები, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი რამ პირველ რიგში ქართული ფეხბურთის განვითარებას უშლის ხელს.

# თომას ვერმალენი აპრილის ბოლოს დაბრუნდება მოედანზე



ბარსელონას ბელგიელი ახალწვეული თომას ვერმალენი ტრავმებმა გააწამა. იგი ზაფხულში შეუერთდა კატალონიურ გრანდს, მაგრამ მისი დებიუტი გუნდის შემადგებლობაში ჯერაც არ შემდგარა.

არსენალის ყოფილმა მცველმა ტრავმა ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში მიიღო და ეს ტრავმა იმაზე უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ. ვერმალენს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დასჭირდა მკურნალობა იმისთვის, რომ სრულად აღედგინა სათამაშო კონდიციები.

ამჟამად თომასი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ვარჯიშებზე თითქმის ბოლომდე იხარჯება. ექიმების თქმით, ის აპრილის ბოლოს უკვე მზად იქნება სათამაშოდ.

28 აპრილს ბარსელონა საკუთარ მოედანზე ხეტაფეს მიიღებს და ვერმალენის დებიუტიც შეიძლება სწორედ ამ შეხვედრაში მოხდეს.

# მორაგბეებმა ალაფისთვის მზადება დაიწყეს

მსოფლიო ახალგაზრდული ალაფის ფარგლებში 20-წლამდელები მორიგ შეკრებას 10-დან 19 აპრილამდე „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე გაივლიან. ტურნირამდე რიგით მე-4 მოსამზადებელ ეტაპს სპარინგ-მატჩი და ერთობლივი ვარჯიში დაემატება, რომელსაც 20-წლამდელები ფრანგული „კლერმონის" ესპუარებთან გამართავენ.

ფრანგული კლუბი საქართველოში 12 აპრილს ჩამოვა, შეხვედრები კი 15 და 18 აპრილს იგეგმება. წინა შეკრებებისგან განსხვავებით, სამწვრთნელო შტაბმა ამჯერად ლეგიონერებსაც უხმო, მათ შორის „კლერმონის" ორ მორაგბეს – ბექა კაკაბაძეს და თორნიკე ზოიძეს.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ალაფის მოსამზადებელ ეტაპზე, ჩვენმა გუნდმა აქამდე 3 შეკრება გაიარა – წლის დასაწყისში მენტალური გამძლეობის შეკრება ჰქონდათ, შემდეგ იყო თბილისური შეკრება, რომლის ფარგლებშიც მათ ახალგაზრდა ძიუდოისტებთან გამართეს 2 ერთობლივი ვარჯიში, ბოლოს კი მარტის შეკრება „შევარდენზე" გაიარეს. 20-წლამდელები ალაფამდე უკანასკნელ – მთავარ შეკრებას 26 აპრილს გეგმავენ.

მომავალი ტურნირი ლისაბონში 12-დან 24 მაისის ჩათვლით გაიმართება. ახალგაზრდა „ბორჯღალოსნები" „ა" ჯგუფში ფიჯის, ურუგვაისა და მასპინძელი პორტუგალიის თანატოლთა გუნდების წინააღმდეგ, მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად იასპარეზებენ.

<u>**მატჩების განრიგი:**</u>

**12 მაისი: საქართველო – ურუგვაი 20:00 სთ**

**16 მაისი: საქართველო – ფიჯი 20:00 სთ**

**20 მაისი: საქართველო – პორტუგალია 20:00 სთ**

**24 მაისს ტურნირის ფინალური რაუნდი გაიმართება 20:00 სთ**

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში კარს მოგვადგა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის – თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენციაზე საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს მზადების დასკვნით ეტაპზე.

11-18 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში მამაკაცთა და ქალთა შორის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 36 ქვეყანა, 478 სპორტსმენი და ოფიციალური პირი. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე 10 სპორტსმენით წარსდგება (8 მამაკაცი, 2 ქალი).

ღონისძიებას პირდაპირ ეთერში გადასცემს უდიდესი ევროპული ტელეარხი ევროსპორტი, რომელიც მსოფლიოს 54 სხვადასხვა ქვეყანაში მაუწყებლობს. ფინალური გამოსვლები ასევე გადაიცემა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე.

თბილისში უკვე ჩამოსულია თითქმის ყველა მონაწილე ქვეყნის ნაკრები და ოფიციალური პირი. საქართველოში იმყოფებიან ტელეკომპანია „ევროსპორტის" წარმომადგენლები, ევროპის ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი – ჰასან აკუში და სხვა საპატიო სტუმრები.

ევროპის ჩემპიონატი 11 აპრილს 09:00 საათიდან აიღებს სტარტს. 15:30 წუთზე გაიმართება გახსნის ოფიციალური ცერემონიალი, 17:00 საათზე კი ფინალური ბლოკი დაიწყება. ტურნირის პირველ დღეს მედლები ქალთა შორის 48 კგ ხოლო მამაკაცთა შორის 56 კგ წონით კატეგორიებში გათამაშდება. ჯამში სპორტსმენები მედლებისთვის ქალთა შორის 7, ხოლო მამაკაცთა შორის 8 წონით კატეგორიებში იბრძოლებენ.

ევროპის ჩემპიონატზე დასწრება უფასოა.

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელებმა, გიორგი ასანიძემ, ავთანდილ გახოკიძემ და ზურაბ ანთაურმა ევროპის ჩემპიონატისთვის ასეთი შემადგენლობა შეარჩიეს:

მამაკაცები: რამინ შამილიშვილი (56კგ); გიორგი ლომთაძე, ირაკლი გაბრიჭიძე (ორივე 77); ნიკა ნანაძე (94); დავით გოგია, გია მაჭავარიანი (105); ირაკლი თურმანიძე, გიორგი ჩხეიძე (105);

ქალები: თათია ლორთქიფანიძე (63); სოფიო მუქათარიძე (69). **მ. ჟ.**

## საზოგადოება

# პეკინში ქალს ტელევიზორი დაეცა

პეკინში ფანჯრიდან გადმოგდებული ტელევიზორის ფაქტზე, რომელიც ქალს დაეცა, გამოძიება ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე მუხლით დაიწყო, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

სისხლის სამართლის საქმე კი სსკ-ის 124 მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს.

ინციდენტი პეკინში 7 აპრილს, გვიან საღამოს მოხდა.

გავრცელებული ცნობით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ქალმა სახლის ფანჯრიდან ტელევიზორი, ხის კარადა და ტანსაცმელი გადაყარა. გამვლელ ქალს კი ფეხზე ტელევიზორი დაეცა.

დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაუდასტურებელი ინფორმაციითვე, ქალბატონი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ის პოლიციელებს სახლის კარს არ უღებდა, თუმცა, სამართალდამცველებმა ქალბატონი დააკავეს და განყოფილებაში გადაიყვანეს.

ნიუსპრესი

# ვიაჩესლავ ჩირიკბა: აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების პროცესი შეფერხდა"

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ ჩირიკბას განცხადებით, აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების პროცესი შეფერხდა.

ჩირიკბას თქმითვე, ეს საქართველოსა და მისი მოკავშირეების – ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ქმედებების შედეგია.

**ვიაჩესლავ ჩირიკბა:**

– საქართველო და მისი მოკავშირე ქვეყნები – შეერთებული შტატები და ევროკავშირი, აფხაზეთის საერაშორისო პროცესს აფერხებს, მოლაპარაკებებში უხეშად ერევა და იმ ქვეყნებთან რომლებთანაც აფხაზეთი ურთიერთობის დამყარებას ცდილობს, ზეწოლას ახორციელებს. ამიტომ მოლაპარაკებები მკაცრად გასაიდუმლოებულად უნდა ვაწარმოოთ.

ამის შესახებ ჩირიკბამ მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან და ვანუათუს რესპუბლიკის საგარეო მინისტთან მელტეკა სატო კილმან ლივტუფნუსთან შეხვედრისას განაცხადა.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს შეხვედრებს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩირიკბა შეხვედრაზე დე-ფაქტო აფხაზეთთან სხვა ქვეყნებისთვის ვიზების გამარტივების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ აფხაზეთი ტურისტული ქვეყანაა და მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი მალე დაიწყოს.

ნიუსპრესი

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-ქპრ ..................... 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 30 | 21 | 7 | 2 | 63-26 | 70 |
| 2.არსენალი | 31 | 19 | 6 | 6 | 62-32 | 63 |
| 3.მანჩესტერი | 31 | 18 | 8 | 5 | 55-28 | 62 |
| 4.სიტი | 31 | 18 | 7 | 6 | 63-30 | 61 |
| 5.ლივერპული | 31 | 16 | 6 | 9 | 45-36 | 54 |
| 6.ტოტენჰემი | 31 | 16 | 6 | 9 | 50-45 | 54 |
| 7.საუთჰემპტონი | 31 | 16 | 5 | 10 | 42-22 | 53 |
| 8.სუონსი | 31 | 13 | 7 | 11 | 37-39 | 46 |
| 9.ვესტ ჰემი | 31 | 11 | 9 | 11 | 41-39 | 42 |
| 10.სტოკი | 31 | 12 | 6 | 13 | 35-39 | 42 |
| 11.კრ. პალასი | 31 | 10 | 9 | 12 | 38-42 | 39 |
| 12.ევერტონი | 31 | 9 | 10 | 12 | 39-42 | 37 |
| 13.ნიუკასლი | 31 | 9 | 8 | 14 | 33-49 | 35 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 8 | 9 | 14 | 28-43 | 33 |
| 15.სანდერლენდი | 31 | 5 | 14 | 12 | 24-44 | 29 |
| 16.ასტონ ვილა | 32 | 7 | 8 | 17 | 23-45 | 29 |
| 17.ჰალი | 31 | 6 | 10 | 15 | 29-43 | 28 |
| 18.ქპრ | 32 | 7 | 5 | 20 | 38-58 | 26 |
| 19.ბარნლი | 31 | 5 | 11 | 15 | 26-49 | 26 |
| 20.ლესტერი | 30 | 5 | 7 | 18 | 29-49 | 22 |

ბლექპული-რედინგი ..................... 1:1

ჩარლტონი-რედინგი ..................... 1:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ატლეტიკო-სოსიედადი ................. 2:0

ლევანტე-სევილია ......................... 1:2

ეიბარი-მალაგა ............................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 23 | 2 | 4 | 81-17 | 71 |
| 2.რეალი | 29 | 22 | 1 | 6 | 87-27 | 67 |
| 3.ატლეტიკო | 30 | 20 | 5 | 5 | 57-23 | 65 |
| 4.ვალენსია | 29 | 18 | 7 | 4 | 52-22 | 61 |
| 5.სევილია | 30 | 19 | 4 | 7 | 55-34 | 61 |
| 6.ვილიარეალი | 29 | 14 | 8 | 7 | 43-26 | 50 |
| 7.მალაგა | 30 | 13 | 6 | 11 | 32-33 | 45 |
| 8.ბილბაო | 29 | 11 | 6 | 12 | 27-35 | 39 |
| 9.რაიო | 29 | 12 | 2 | 15 | 35-51 | 38 |
| 10.სოსიედადი | 30 | 9 | 10 | 11 | 34-40 | 37 |
| 11.სელტა | 29 | 9 | 8 | 12 | 29-32 | 35 |
| 12.ესპანიოლი | 29 | 9 | 8 | 12 | 33-38 | 35 |
| 13.ხეტაფე | 29 | 9 | 5 | 15 | 26-40 | 32 |
| 14.ეიბარი | 30 | 8 | 7 | 15 | 28-40 | 31 |
| 15.ლევანტე | 30 | 7 | 7 | 16 | 28-55 | 28 |
| 16.ელჩე | 29 | 7 | 7 | 15 | 24-53 | 28 |
| 17.დეპორტივო | 29 | 6 | 8 | 15 | 24-46 | 26 |
| 18.ალმერია | 29 | 6 | 7 | 16 | 24-46 | 25 |
| 19.გრანადა | 29 | 4 | 11 | 14 | 19-52 | 23 |
| 20.კორდობა | 29 | 3 | 9 | 17 | 20-48 | 18 |

### გერმანია. თასი

ვოლფსბურგი-ფრაიბურგი ............ 1:0

დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი ....... 3:2(დდ)

### იტალია. თასი

ფიორენტინა-იუვენტუსი .............. 0:3

### საფრანგეთი. თასი

ოსერი-გენგამი .............................. 1:0

საფრანგეთი. ............................... 1

ლიგა

მონაკო-მონპელიე ........................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 17 | 11 | 3 | 58-30 | 62 |
| 2.ლიონი | 31 | 18 | 7 | 6 | 60-25 | 61 |
| 3.მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 62-34 | 57 |
| 4.მონაკო | 31 | 15 | 10 | 6 | 36-22 | 55 |
| 5.სტ.ეტიენი | 31 | 14 | 11 | 6 | 38-25 | 53 |
| 6.ბორდო | 31 | 14 | 9 | 8 | 40-38 | 51 |
| 7.მონპელიე | 31 | 14 | 7 | 10 | 42-33 | 49 |
| 8.ლილი | 31 | 12 | 8 | 11 | 30-27 | 44 |
| 9.რენი | 31 | 11 | 9 | 11 | 31-37 | 42 |
| 10.ნანტი | 31 | 10 | 10 | 11 | 25-32 | 40 |
| 11.გენგამი | 31 | 12 | 3 | 16 | 33-44 | 39 |
| 12.კაენი | 31 | 10 | 8 | 13 | 46-45 | 38 |
| 13.ნიცა | 31 | 10 | 8 | 13 | 35-39 | 38 |
| 14.ბასტია | 31 | 9 | 10 | 12 | 31-37 | 37 |
| 15.ევიანი | 31 | 11 | 3 | 17 | 34-48 | 36 |
| 16.რეიმსი | 31 | 9 | 8 | 14 | 37-53 | 35 |
| 17.ლორიანი | 31 | 10 | 4 | 17 | 34-44 | 34 |
| 18.ტულუზა | 31 | 9 | 5 | 17 | 33-52 | 32 |
| 19.მეცი | 31 | 6 | 8 | 17 | 25-44 | 26 |
| 20.ლანსი | 31 | 6 | 7 | 18 | 28-49 | 25 |

### ჰოლანდია. თასი

ტვენტე-ზვოლე .................... 1:1(2:4პ)

### რუსეთი. პრემიერლიგა

მორდოვია-ამკარი ....................... 1:0

რუბინი-კრასნოდარი ................... 1:2

### შოტლანდია. პრემიერლიგა

მოზერველი-სტ.მირენი ................ 5:0

როსი-სტ.ჯონსონი ....................... 1:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზავიშა-პოგონი ............................ 2:1

### დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ვესტშელანდი .................. 1:2

### ნორვეგია. ტიპელიგა

ლილესტრიომი-სტარტი ............... 1:1

მიოლდე-ოდ გრელანდი ................ 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

[illegible] 100%-[illegible]

[illegible], 1-ლი სართ., ოთ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38

[illegible]

# ჩეხებმა პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტი შესაძლოა არ დააფინანსონ



ჩეხეთის პრეზიდენტს შესაძლოა მოსკოვში ჩასვლა საკუთარი ხარჯებით მოუხდეს.

ვიცე-პრემიერ პაველ ბელობრადეკის განმარტებით, მას ზემანის ვიზიტის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა შექმნილი საერთაშორისო ვითარების ფონზე მოსკოვში პრეზიდენტის ჩასვლას უადგილოდ მიიჩნევს.

ცნობილია, რომ მილოშ ზემანი მოსკოვში ჩავა და ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმს დაესწრება.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ზემანის მოსკოვში ვიზიტი, დაახლოებით 600 ათასი კრონი (თითქმის 24 ათასი დოლარი) ჯდება და ამ თანხაში არ არის გათვალისწინებული პრეზიდენტის სპეცთვითმფრინავით მგზავრობა.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის 9 მაისს, რუსეთი, ფაშიზმზე გამარჯვების 70 -ე წლისთავს ზეიმით აღნიშნავს.

ცნობისათვის, საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი მონაწილეობას არ მიიღებს მოსკოვში, ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში.

# კარაკასის მერს სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში ადანაშაულებენ



ვენესუელის პროკურატურამ კარაკასის მერს, ანტონიო ლედესმას ბრალდება წაუყენა.

მას „ულტრამემარჯვენე ჯგუფების" დახმარებით, სახელმწიფო გადატრიალების მომზადებასა და ნიკოლას მადუროს მთავრობის დამხობის მცდელობაში ადანაშაულებენ.

პროკურორმა დედაქალაქის მერის გასამართლება მოითხოვა ისეთ დანაშაულობებში ბრალდებით, როგორებიცაა შეთქმულება და ტერორიზმის დაფინანსება. ამას გარდა, პროკურატურამ ლედესმას სასამართლომდე პატიმრობაში დატოვება მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ კარაკასის მერი ანტონიო ლედესმა ჯერ კიდევ 19 თებერვალს დააკავეს. ოპერაციაში სპეცსამსახურების 150-ზე მეტი აგენტი მონაწილეობდა. მისმა ადვოკატმა მაშინვე განაცხადა, რომ დაპატიმრება დარღვევებით განხორციელდა:

— მერი ჩაკაოს რაიონში, საკუთარ კაბინეტში დააპატიმრეს, თუმცა მისთვის ორდერი არ წარუდგენიათ.

პრეზიდენტი მადურო, რომლის რეიტინგი ნავთობის ფასთან და ეროვნულ ვალუტასთან ერთად დაეცა, ხშირად ოპონენტებს, რაიმე მტკიცებულებების გარეშე, კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობაში ადანაშაულებს.

ანტონიო ლედესმა წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

# საბერძნეთის პრემიერი პუტინთან შეხვედრას გეგმავს



საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი, ალექსის ციპრასი მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. ის კრემლის ლიდერ ვლადიმერ პუტინთან გეგმავს შეხვედრას. ლიდერები ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელებენ. მათ ასევე შესაძლოა ევროკავშირსა და რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობებზეც ისაუბრონ, რომელიც უკრაინის კრიზისის გამო დაძაბულია.

საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლებმა არაერთხელ მიანიშნეს იმაზე, რომ ათენი რუსეთს ფინანსური დახმარების ალტერნატიულ წყაროდ განიხილავს. თუმცა, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთი ევროკავშირს ამ მხრივ ვერ ჩაანაცვლებს, მოსკოვმა უბრალოდ შესაძლოა, ათენს დამატებითი დახმარება გაუწიოს.

ამასთან, ათენი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს არ უერთდება. როგორც საბერძნეთის პრემიერმა მოსკოვში გამგზავრებამდე განაცხადა, ევროკავშირისა და აშშ-ის სანქციები ყირიმის ანექსიის გამო არის „გზა არსაით".

თავის მხრივ რუსეთის მთავრობაში განაცხადეს, რომ ისინი სამი ქვეყნის, მათ შორის საბერძნეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დაწესებული ემბარგოს მოხსნას გეგმავენ. ამ ფონზე, ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცი საბერძნეთის პრემიერს მოუწოდებს, ევროკავშირის ერთიანობა საფრთხის ქვეშ არ დააყენოს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# იულია ტიმოშენკოს კრემლის სასარგებლოდ მუშაობაში ადანაშაულებენ



უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველი, ანტონ გერაშენკო პარტია „ბატკივშინას" ლიდერს, იულია ტიმოშენკოს კრემლისთვის მუშაობაში ადანაშაულებს.

ამ ბრალდების მიზეზი ტიმოშენკოს პარტიის მიერ უმაღლესი რადას ტრიბუნის ბლოკირებაში მონაწილეობა გახდა.

კერძოდ, რამდენიმე პარტიამ პარლამენტის სესია ჩაშალა, ისინი პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების გამოძიებას ითხოვდნენ. გერაშენკოს თქმით, პარტია „სვაბოდა" და „ბატკივშინა" მთავრობის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

— ტიმოშენკოსთვის ეს პირველი შემთხვევა არ იქნება, მან ხომ 2009 წელს იანუკოვიჩთან ერთად ჩამოაყალიბა კოალიცია. ის ახლა ოპოზიციასთან ერთად აკრიტიკებს მთავრობას, რომელიც ცდილობს ქვეყანა კრიზისიდან იხსნას, — განაცხადა გერაშენკომ.

ფინანსური სკანდალი 7 მილიარდი გრივნის გაფლანგვას ეხება. გერაშენკოს თქმით, 7-იდან 6 მილიარდი მაშინ არის გაფლანგული, როცა უკრაინის ხელისუფლებაში იულია ტიმოშენკო და ნიკოლაი აზაროვი იმყოფებოდნენ.

მისივე თქმით, იმის მცდელობა, რომ ეს ფინანსური მაქინაციები ამჟამინდელ მთავრობას დაბრალდეს, რუსეთის საიდუმლო სამსახურისა და ვლადიმერ პუტინის ინტერესებში შედის.

შეგახსენებთ, ფინანსური ინსპექციის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ნიკოლაი გორდიენკო და დეპუტატთა ნაწილი, კორუფციასა და 7 მილიარდი გრივნას გაფლანგვაში, უკრაინის პრემიერ-მინისტრს, არსენი იაცენიუკს ადანაშაულებენ.

# აშშ-ს აეროკოსმოსური მეთაურობა ცივი ომისდროინდელ ბუნკერში ბრუნდება



აშშ-ს არმიის აეროკოსმოსურ ხელმძღვანელობას (რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის სივრცეში რაკეტებისა და თვითმფრინავების თვალთვალაზეა პასუხისმგებელი) თავისი სამეთაურო პუნქტი კოლორადოს შტატში, შაიენის სამთო ბუნკერში გადააქვს.

ეს სამეთაურო პუნქტი 1960-იან წლებში აშენდა და 2006 წლიდან არ გამოიყენებოდა.

პუნქტის მეთაურმა უილიამ გორტნიმ ჟურნალისტებს განუმარტა, რომ გადაწყვეტილება მიიღეს, რათა ელექტრომაგნიტური იმპულსების გამოყენებით, შეტევებისგან სენსორებისა და ელექტრონული სისტემების უსაფრთხოება უზრუნველეყოთ.

შაიენის მთებში სამეთაურო პუნქტი გასული საუკუნის 60-იან წლებში, ცივი ომის დროს, საბჭოთა ბირთვული რაკეტების გაშვებებზე სათვალთვალოდ აშენდა. იგი იმგვარად იყო კონსტრუირებული, რომ საბჭოთა კავშირის ბირთვული დარტყმისთვის გაეძლო.

2006 წელს „ნორადის" (სამეთაურო პუნქტი) მეთაურობა კოლორადო-სპრინგსში, „პეტერსენის" ავიაბაზაზე გადაიტანეს. ეს ნაბიჯი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებით ახსნეს. თუმცა გადასვლა მას შემდეგ განხორციელდა, რაც 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ შაიენის ბაზის განახლებაში ასეულობით მილიონი დოლარი ჩაიდო.

ამჟამად, მთების შიგნით მდებარე ელექტრონული სისტემების „ბუნებრივმა დაცულობამ", შაიენი აქტუალური გახადა. გორტნიმ განმარტა, რომ სხვა დანარჩენთან ერთად, ამ სამეთაურო პუნქტში სხვადასხვა სამსახურებისთვის მეტი ადგილებია, მაგრამ არ აზუსტებს, იქ კონკრეტულად რომელი ქვედანაყოფები გადავა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

მწერლობა

# ჩვენი მწერლობის" თაოსნობით მარინე ტურავას წერილების კრებულის განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" თაოსნობით შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა განხილვა მარინე ტურავას კრებულისა — „გარღვეული ლაბირინთი". მასში ავტორის მიერ ბოლო წლებში სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემასა და პერიოდიკაში დაბეჭდილი სტატიები, ესეები და ლიტერატურული პორტრეტებია შესული. ავტორის ინტერესებისა და კვლევის სფერო მრავალფეროვანია — კლასიკური მწერლობიდან დაწყებული თანამედროვე ლიტერატურული პროცესებით დამთავრებული. ნიშანდობლივია, რომ „ჩვენი მწერლობის" რედაქციამ იგი 2014 წლის საუკეთესო კრიტიკოსად გამოაცხადა.

როგორც „ჩვენი მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ეს არაა რიგითი კრებული.

— თვალსაჩინო მოვლენაა, როდესაც მკვლევარმა ხელახლა უნდა გადააფასოს ზოგიერთი რამ, რაც აქამდე მარტივად და ზერელედ, ხშირად კი სრულიად ყალბად იყო შეფასებული. კრებული სამი განყოფილებისაგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთია გამოხმაურებანი. ამ თავისებური ჟანრის დამკვიდრებას, ელგუჯა თავბერიძის მსგავსად, ხელს მარინე ტურავაც უწყობს, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

მისივე შეფასებით, მარინე ტურავა ზნეობრივი და ქრისტიანული პრინციპებით ცხოვრობს, რაც ჩვენ თვალწინ ნელ-ნელა ილევა, მაგრამ ასეთ პიროვნებათა წყალობით მაინც შენარჩუნებულია. მან ხუმრობით ისიც შენიშნა, რომ ავტორის არაერთი პერსონაჟი დარბაზშია და გაცილებით უკეთ გრძნობენ თავს წიგნის ფურცლებზე, ვიდრე ყოველდღიურობაში.

მომხსენებლის, პროფესორ ნანა კუციას თქმით, „გარღვეული ლაბირინთი" თანამედროვე ქართული კრიტიკის მნიშვნელოვანი შენაძენია. მკვლევარი საქართველოს მარადიულ საფიქრალს უღრმავდება დიდძალი ლიტერატურული მასალის — ქართული და არაქართული — მოშველიებითა და ღრმა ანალიტიკური განსჯით.

— ესეების კითხვისას არ გტოვებს განცდა, რომ შესაძლებელია, ტრადიციულად აღიქვა სამყარო და ძალიან თანამედროვეც იყო. მარინე ტურავას ცნობიერებასა და ლექსიკონში თანამედროვეობა ტრადიციულობას არ გამორიცხავს, პირიქით, ეჯუფთება, — აღნიშნა ნანა კუციამ.

პროფესორმა იოსებ ჭუმბურიძემ გაზეთ „თბილისის" მთავარ რედაქტორად მისი მუშაობის პერიოდი გაიხსენა, როცა მარინე ტურავა დედაქალაქის მერიის პრესსამსახურის თანამშრომელი იყო.

— თბილისის მერის ტრადიციულ თათბირებს ერთად ვესწრებოდით. მაშინ არ მეგონა, თუ ასეთი ნიჭიერი მკვლევარის გვერდით ვიჯექი, — აღნიშნა იოსებ ჭუმბურიძემ.

გამომსვლელებმა ერთხმად შენიშნეს, რომ მარინე ტურავა შესაშური დამაჯერებლობით წარმოაჩენს ნაწარმოების ღირსებებს და შესანიშნავი გზამკვლევია მკითხველისათვის ამ სამყაროში მოგზაურობისას. გარდა ღრმა აზროვნებისა, დახვეწილი სტილისტიკაა და ამიტომ მისი ლიტერატურული სტატიები და ესეები მოთხრობებივით იკითხება.

— მაგრამ დადგა დრო, მარინესიც ეშინოდეთ — რას იტყვის, როგორ გაგვაკრიტიკებსო, — აღინიშნა დარბაზში.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ მწერლები და მეცნიერები: ადა ნემსაძე, მანანა კვატაია, ვახტანგ ბახტაძე, მიხეილ ანთაძე, ლევან ბრეგაძე, ინდირა ძაგანია, მაია ჯალიაშვილი, თამარ ყალიჩავა.

მედიანიუსი

## h3xucex3cb ,

**შვეულად:** 1. ცირკის მომთვინიერებელთა გრძელი შოლტი; 2. დაბალი რანის დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. ხუროთმოძღვრული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში; 4. უკრაინული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 14. ტროპიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური ბოჭკოვანი მცენარე; 16. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში; 17. უძველესი ქართული სამეფო; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ფრანგი კომპოზიტორი ოპერა „დონ-კიხოტის" მუსიკის ავტორი; 22. დაბალი, გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

**თარაზულად:** 6. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 7. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 8. მინერალური წყალი იმერეთში; 9. მრავალწახნაგა გეომეტრიული ფიგურა; 10. ცხენებშებმული ტრამვაი; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ამერიკელი ზანგი ჯაზმენი; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. აეროპორტი პარიზში; 21. კომბინაცია პრეფერანსში; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმeტ.ყტ,ეჯბ h3xucex3cტ,ბც გფცეſტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. „იზაბელა"; 3. სპარინგი; 4. ოსვენციმი; 5. თოლია; 6. არდანი; 8. შირაზი; 11. კელნერი; 14. მეტრანპაჟი; 15. სათაფლია; 16. ბიჟუტერია; 17. ჩითილი; 19. ხავერდი; 21. სამბო; 22. „ზვარე".

**თარაზულად:** 1. ბიოსფერო; 5. თორა; 7. ფაშატი; 9. მაღალაშვილი; 10. დეკორტი; 12. ანალიზი; 13. ტრიუმფი; 16. ბარიბალი; 17. ჩირი; 18. ცხუმი; 20. გრავიურა; 22. ზალპი; 23. ბესელია; 24. რულადა; 25. ბარჟა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჩაინტაუნი; 2. აზურიტი; 3. კასიკი; 4. მარში; 5. ენძელა; 11. დოკერი; 12. ტაპირი; 14. „მოკო"; 16. ნიაგარა; 17. იმპულსი; 19. „სევილია"; 21. „შოუდუ"; 22. კათხა.

**თარაზულად:** 6. „მალვაზია"; 7. დიაფანი; 8. შპრეე; 9. „შტერნი"; 10. კლოდი; 13. გნომი; 15. ანტვერპენი; 18. „ფიპრესი"; 20. მუცო; 21. შამანი; 23. საქართველო; 24. სლაიდი.

## fcnhjghjuyjpb
9 აპრილისთვის

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — საქმე გაქვთ, არც უფულობას უჩივით. **ტყუპები** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კირჩხიბი** — სიყვარულს იპოვით, გახარებული ხართ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **მშვილდოსანი** — დამშვიდდით, ნუ აზვიადებთ, საქმე არც ისე ცუდად არის. **თხის რქა** — ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **მერწყული** — შედით სხვის მდგომარეობაში, იყავით მიმტევებელი. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ.

უბცეჰeტ,ს ,ტცყბტჰ ცქტც=

# სოსო მანჯავიძე: ნეპოტიზმის დასჯადობა აბსურდამდე მიგვიყვანს“

## „ჩემი პროექტით, „სამ დე“-ში გაკეთებულ მიწისქვეშა თბილისს მივიღებთ“

თამარ ნინიძე

**საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, ურბანული დაგეგმარების და ეკონომიკური განვითარების კომისიების წევრი სოსო მანჯავიძე 'ახალ თაობას~ ესაუბრება იმ ინიციატივებსა და პროექტებზე, რომლებიც მერიასთან ერთად საკრებულომ უნდა განახორციელოს დედაქალაქის განვითარებისთვის.**

***— მერიის სამსახურებში გამოვლენილი ფაქტების შესახებ მინდა გკითხოთ. ამას აქვს სისტემური ხასიათი და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯოკია ბოდოკიას და სხვებს ფული ზემოთ მიჰქონდათ, მათ ხელმძღვანელობასთან?***

— ბოდოკია დააკავეს, მაგრამ არანაირი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ ეს კვალი ნარმანიამდე მიდიოდეს. ნარმანიას ისედაც ბევრი საკრიტიკო აქვს და ახლა ცილისწამებაზე აგებული კრიტიკა სრულიად ზედმეტია. კორუფციული გარიგებები არ არის საკრებულოში. სხვადასხვა პოლიტიკური ძალები არიან და ერთმანეთს აკონტროლებენ. თუ კორუფციული სისტემა ჩამოყალიბებას დაიწყებს მერიაში და საკრებულოში, ეს არ დაიმალება. სახელმწიფო მანქანის გამართულ მუშაობაზე უნდა ვსაუბრობდეთ. როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ ეფექტური ბიუროკრატია. სახელმწიფო რანგირების შესახებ კანონია მისაღები. კომპეტენციისა და სტაჟის მიხედვით უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე დანიშნული კონკრეტულ თანამდებობაზე. ხელისუფლება მიეჩვია ნაცმოძრაობის უარყოფით კონტექსტში ხსენებას, მაგრამ ფონს ამით უკვე ვერ გავა, ვერც ნაციონალები მიაღწევენ რაიმეს „ქართულ ოცნებასთან“ არაკონსტრუქციული ოპონირებით.

***— ნეპოტიზმის დასჯადობის შესახებ ინიციატივა წარმოადგინა საერთაშორისო გამჭვირვალობამ, თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველოში ეს კანონი იმოქმედებს?***

— „სოროსიკომსომოლი“ — ასე ვუწოდებ მე ამ ტიპის არასამთავრობოებს. დივერსიული აზროვნებით გამოირჩევიან ეს ადამიანები. ცხოველების უფლებებს იცავენ, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ისეთი კანონი შევიმუშავეთ, ევროპაში რომ არ არის. ნეპოტიზმის დასჯადობა საქართველოში მძიმე შედეგებს გამოიწვევს. მცირე ერი ვართ და ყველა ერთმანეთის ახლობელ-ნათესავები ვართ. ნებისმიერი საკადრო გადაწყვეტილება შეიძლება კრიმინალი გახდეს. აბსურდამდე მივალთ, ამათ, ეტყობა, გრანტი აქვთ აღებული.

***— მესმის, მაგრამ ხომ არის ეს პრობლემა, დეპუტატს რომ სურს ახლო ნათესავის დანიშვნა, მაგალითად, მერიაში, მაგრამ არის სხვა ადამიანი, რომელიც დეპუტატი არ არის, მაგრამ მისი ბიძა ან და უფრო გამოცდილია, მაგრამ რიგითი ადამიანია. რატომ უნდა იყოს დეპუტატის ნათესავი პრივილეგირებული სხვასთან შედარებით?***



— სრულად ვერ გამორიცხავ ამას, ეს ადამიანის ბუნებაა, ეს უნდა შეიზღუდოს არა კრიმინალიზაციით, არამედ სახელმწიფო მოხელეთა რანგირების წესის შესახებ კანონი უნდა ამოქმედდეს. ბიუროკრატიას უნდა ჰქონდეს დაკომპლექტების წესი. ტესტირების და კონკურსების სისტემა შესაცვლელია. გადამწყვეტი უნდა იყოს გამოცდილება. საკაშვილის დროს თუ ვინმე ნაცმოძრაობის მხარდამჭერი არ იყო, მას არ იღებდნენ სამსახურში. პოლიტიზირებული არ უნდა იყოს ბიუროკრატია. „ქართულ ოცნებას“ სდებენ ბრალს, რომ ნაცმოძრაობა დატოვა ყველა სახელისუფლებო რგოლში. რისხვა გამოიწვია ხელისუფლებამ იმით, რომ საკუთარი მომხრეები ვერ დააკმაყოფილა სამსახურით და მეორე მხრივ, მიიღო საბოტაჟი ნაციონალებისგან. სახელმწიფო მოხელეების კლასი არის აუცილებელი და კომპეტენციები უნდა განაწილდეს.

***— მერიის მუშაობაში რა ხარვეზებს ხედავთ და რის გამოსწორებას ურჩევდით დავით ნარმანიას?***

— გასაგებია, რომ ეს არის სოციალური ბიუჯეტი. ვერც ერთი ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გაუძლებს საყოველთაო დაზღვევას და სხვა სოციალურ შეღავათებს, თუ მცირე და საშუალო ბიზნესი არ განვითარდა. 6% არის ჩვენთან მცირე მეწარმეობა. მდგრადი რომ გახდეს სისტემა, 60% უნდა გახდეს. ადამიანური რესურსების აღრიცხვა და გადამზადება უნდა დავიწყოთ, რომ ადამიანებს შეეძლოთ სამუშაოს პოვნა. ახლა გვაქვს ბანკების ზღვარგადასული ქმედებები, რაც აზარალებს ასეულობით ადამიანს. სავახშო კაპიტალია. ბანკების გვერდის ავლით სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის დედაქალაქში.

პროექტი მაქვს ასეთი: თბილისი ურთულესი გეოლოგიის ქალაქია, რთული ლანდშაფტია, ნგრევა გამოწვეულია მიწისქვეშა კომუნიკაციების მოუწესრიგებლობით. ამაზე პროექტი მაქვს, უახლესი აპარატურა შემოვა, ამ კომუნიკაციების გამოყენება დაიწყება და პრობლემების აღმოფხვრა. ეს სერიოზული პროექტია. „სამ დე“-ში გაკეთებულ მიწისქვეშა თბილისს მივიღებთ. ათეულ მილიონობით საბიუჯეტო სახსრები დაიზოგება. წყლის, მიწის და ჰაერის ხარისხის შესასწავლი ლაბორატორიის დაყენება გვინდა. მთავარია, საქმის გაკეთება გვაცადოს ნაცმოძრაობამ და დასრულდეს პოლიტიკური სპეკულაციები.

# მინდია ჯანელიძე: რუსეთი, რა თქმა უნდა, ოკუპანტია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ე.წ. ხელშეკრულებები რუსეთის აგრესიული პოლიტიკისა და საქართველოს ანექსიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველოს დასავლური პოლიტიკური კურსი რეგიონში რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარე სამხედრო ხასიათის საფრთხეები მაღალი რისკის მატარებლად რჩება.

მისი თქმითვე, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აგრესიული პოლიტიკა გრძელდება, რაც უსაფრთხოების გარემოზე სერიოზულ გავლენას ახდენს.

— ე.წ. ხელშეკრულებები, ერთი მხრივ, რუსეთსა და დეფაქტო აფხაზეთს, მეორე მხრივ კი, რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის, ჩვენი უკვე ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ეს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აგრესიული პოლიტიკის გაგრძელების აშკარა ნიშანია, რაც იმ უსაფრთხოების გარემოზე, რომელშიც ჩვენ ცხოვრება და საქმიანობა გვიწევს, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს. საქართველოს დასავლური პოლიტიკური კურსი, რეგიონში რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, შესაბამისად, კვლავინდებურად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარე სამხედრო ხასიათის საფრთხეები მაღალი რისკის მატარებლად რჩება, — აცხადებს მინისტრი.

დეპუტატებმა მინისტრის მიერ რუსეთის გმობა არასაკმარისად მიიჩნიეს და ჩაეკითხნენ, არის თუ არა მისთვის რუსეთი ოკუპანტი.

**მინდია ჯანელიძე:**

— რუსეთი, რა თქმა უნდა, ოკუპანტია. მართლა ხომ არ დავიწერთ გულზე მთავრობის წევრები ამას. ჩემი გამოსვლის შესავალი ნახევარსაათიანი მონოლოგით დავიწყე, თუ რა არის და როგორ არის. შეიძლება სხვა დოკუმენტიც ნახოთ, სადაც ამაზე საუბარი არ იყოს. ამას მნიშვნელობა ნაკლებად აქვს. მთავარია, რა არის მთავრობის, თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრის პოზიცია.

### „თავდაცვითი საშუალებების შეძენა არ ჩაშლილა“

ხელისუფლებას ნაციონალები და თავისუფალი დემოკრატები თავდაცვის სისტემის შეძენის ჩაშლაში სდებენ ბრალს. მათ ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს თავდაცვის მინისტრი. ჯანელიძე ამტკიცებს, რომ თავდაცვითი საშუალებების შეძენა არ ჩაშლილა. მისი თქმით, საფრანგეთთან ამ მიმართულებით ყველაფერი ნორმის ფარგლებში მიდის.

თუმცა ამ თემაზე მან ღიად საუბარი არ ისურვა. მისი აზრით, ამ საკითხზე ნდობის ჯგუფთან უნდა მოხდეს განმარტებების გაკეთება.

საკომიტეტო მოსმენაზე საუბარი საჰაერო თავდაცვის გაძლიერებაზეც წარიმართა. მინისტრის თქმით, საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების ხედვის ჩამოყალიბებაში უცხოელი პარტნიორები და ის ექსპერტები არიან ჩართულები, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს ტრანსფორმაციაში გვეხმარებიან.

საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაფართოების კუთხით აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს, ასეთი ურთიერთობები საფრანგეთთან აქტიურ ფაზაშია.

ჯანელიძე ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ პერიოდში ნატოსკენ წარმატებული სვლა კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას გააძლიერებს.

— ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესში, ნატოსკენ საქართველოს წარმატებული სვლა კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემდგომ განვითარებას და ქვეყნის თავდაცვის პოტენციალის გაძლიერებას ხელს შეუწყობს, — აღნიშნა მინისტრმა.

ჯანელიძემ მოხსენებაში თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილ რეფორმებზე, ოკუპირებულ რეგიონებსა და იმ საფრთხეებზე ისაუბრა, რაც ქვეყნის წინაშე დგას. მან ყურადღება ასევე იმაზე გაამახვილა, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაციის გამო, რუსეთიდან სამხედრო საფრთხე კვლავ გასათვალისწინებელი და საშიშია.

ჯანელიძემ მოხსენებაში დიდი ყურადღება ჯარისკაცების კვების თემასაც დაუთმო.

საკომიტეტო მოსმენის შემდეგ ნდობის ჯგუფის შეხვედრა შედგა. იგი, როგორც წესი, დახურულ რეჟიმში გაიმართა.

**ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ**

ოთარ და თამარ წოწორიები ოჯახით თანაუგრძნობენ ლეილა, ლალი, გოჩა, ეკა და მარი ცომაიების ოჯახს საყვარელი მეუღლის, მამისა და ბაბუის

**ზურაბ შოთას ძე ცომაიას**

გარდაცვალების გამო.

### გიორგი ოთხოზორიას გახსენება

მეთვრამეტედ ვხვდებით უშენოდ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, შვილო. უეცრად წახვედი ამქვეყნიდან და დაგვიტოვე ამოუვსები სიცარიელე, დიდი გულისტკივილი. ძალიან გვაკლიხარ, ჩემო კუსუნა. შენი სული უკვე მაღლა სასუფეველშია, ზეციურ საქართველოშია.

ღმერთო, ნათელში ამყოფე ჩემი საოცნებო შვილის სული.

თვალცრემლიანი, გამწარებული დედა მზევი ნაყოფია, მამა ნუგზარი, ძმა ზვიადი, ნათესავ–მეგობრები

**ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლგგ**

# თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კინოლოგიური სასწავლო პროგრამის დამამთავრებელი ცერემონია გაიმართა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კინოლოგიური სასწავლო პროგრამის დამამთავრებელი ცერემონია ჩატარდა. სწავლება ორ ეტაპად წარიმართა: პირველი ეტაპი, სასწავლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიმდინარე წლის 17 იანვრიდან 15 მარტის ჩათვლით განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხუთმა თანამშრომელმა. აღნიშნული ვიზიტი ტრენერთა ტრენინგსაც მოიცავდა. სწავლების მეორე ეტაპი აშშ-ში გადამზადებული ინსტრუქტორების მიერ საქართველოში, სხვადასხვა სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში ჩატარდა და მასში მონაწილეობა სამმა თანამშრომელმა მიიღო.

ცერემონიას შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების, აგრეთვე, აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) წარმომადგენლები დაესწრნენ. გადამზადებულ თანამშრომლებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ.

სასწავლო პროგრამა ჩატარდა კინოლოგიური პროექტის ფარგლებში, რომელიც 2013 წლიდან აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტი მიზნად ისახავს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა



სამინისტროს განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებისგან შეიქმნა ოპერატიული დანაყოფი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის საკითხებზე სამომსახურეო ძაღლებთან ერთად მუშაობს.

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 9 აპრილი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00, 03.05** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ "**მაკარტური**"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **09.00**"თავისუფალი ტრიბუნა" **10.00**"გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **14.00** ტ/სერ "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **16.00, 19.00** ტ/სერ "**ტაქსისტი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30**"არგუმენტების დრო" **23.00**"ნამდვილი დრო"

**06.45** სერ."**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30**, ქრონიკა **10.05** სერ."**უდანაშაულო**" **11.20** სერ."**ივნისის ლამე**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ."**ღალატი**" **16.00** სერ."**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**ქალის ხვედრი**" **18.45, 19.03** სერ."**ნდობა**" **10** სერ. **20.55** სერ."**შურისძიება**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ერთხელ საქართველოში **00.35** მხ/ფ "**პატრული**" (ა.კენდრიკი) **02.40** მხ/ფ "**თავშესაფარი**" (ჯ.რ.მეიერსი)

**06.00, 15.55** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ბედისწერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** პროფილი **23.55** აჟარა ბეთის გათამაშება **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** დ/ფ "თონის ქართველთა სავანე" **07.25** ვნების კვირა წმინდა მიწაზე **2** ნაწ **07.40** საქართველოს ქალაქები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ივერიის ეკლესია" **11.00** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **13.15** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** ქრისტიანული სწავლება XXX გად. **15.15** დ/ფ "ქრისტეს უკანასკნელი სახვევლი" **16.00** აკადემიკოს თ. გამყრელიძის გამოსვლა მოსკოვში ყრილობაზე **1989** წლის **30** მაისს **16.30** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება ვნების შვიდეული -ხუთშაბათი **16.35** დიდი მარხვა -მამა მაქსიმე-დიდი ხუთშაბათი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ/ფ "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მედია ოკუპირებულ ტერიტორიაზე **22.25** დ/ფ " მოქვი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** განთიადის სტუმარი **23.30** დ/ფ **00.30** ვნების კვირა წმინდა მიწაზე **3** ნაწ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **19.00 სერიალი "ორსულობის ტესტი"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" **0.00** დოკ.ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **1.00 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"**

გპჯუპფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდპბც4 ყტ,ფპსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2505

ევრო — 2.4722

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3636

100 რუსული რუბლი — 3.9934

## ამინდის პროგნოზი 9 აპრილისთვის




# ნემცოვის მკვლელობაში ანა დურიცკაიაც მონაწილეობდა?



რუსულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ბორის ნემცოვის მკვლელობაში, მისი მეგობარი გოგონა, ახალგაზრდა უკრაინელი მოდელი ანა დურიცკაია მონაწილეობდა.

როგორც გაირკვა, მოდელს ორი მობილური ტელეფონი ჰქონდა, რომელთაგანაც მკვლელობის შემდეგ ერთი ნაგვის ურნაში გადააგდო. ეს ფაქტი ვიდეოკამერამაც დააფიქსირა. ამის საფუძველზე გაჩნდა სერიოზული კითხვები, თუ რაში სჭირდებოდა დურიცკაიას ორი მობილური და რატომ გადააგდო მან ერთი მათგანი ნაგვის ურნაში? ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით დურიცკაიას კომენტარი არ გაუკეთებია.

შეგახსენებთ, რომ ნემცოვი 27 თებერვალს ღამით მოკლეს. მასთან ერთად იმყოფებოდა მისი მეგობარი გოგონაც. დურიცკაიას მიმართ ეჭვები მაშინვე გაჩნდა, რადგან ის სრულიად უვნებელი გადარჩა, ხოლო მსგავს შემთხვევებში მოწმეებს ცოცხლებს არ ტოვებენ ხოლმე.

# „ჩელსი“ პიტერ ჩეხის გაყიდვას არ აპირებს



რამდენიმე კვირის წინ ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩელსის მეკარე პიტერ ჩეხი არსენალში აპირებდა გადასვლას.

ეს ინფორმაცია ჭორი გამოდგა და, როგორც თვითონ ჩეხმა თქვა, ის არსად წასვლას არ აპირებს უახლოეს მომავალში.

წლევანდელ სეზონში პიტერ ჩეხმა დაკარგა ძირითად შემადგენლობაში ადგილი, რადგან გუნდში ტიბო კურტუა მივიდა, რომელმაც ჩეხის ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, ჩელსის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მაურინიო აცხადებს, რომ ჩეხი მისი გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურაა და ჩელსი მის გაყიდვას არ აპირებს.

— პიტერი ჩვენ გუნდში უკვე 10 წელიწადია თამაშობს და ის ჩელსის განუყოფელ ნაწილად იქცა. ჩვენ არ ვაპირებთ მასთან განშორებას, რადგან ვთვლით, რომ მომავალში ის გუნდს გამოადგება, — განაცხადა ჟოზე მოურინიომ.

ჩეხი ლონდონის ჩელსიში 2004 წლიდან გამოდის. 2009 წელს მან ძალიან სახიფათო ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც ის მოედანზე დამცავი შლემით გამოდის.

## იუმორი



***

გამოფენაზე, ერთ-ერთი დამთვალიერებელი ნახატების ავტორს ეკითხება:

— ახალგაზრდავ, ეს რა სურათია?

— ძროხა ბალახს ძოვს.

— მერე, სად არის ბალახი?

— ძროხამ შეჭამა.

— კი მაგრამ, ძროხა სადღაა?

— ბალახი შეჭამა და წავიდა!

***

კაცს ქუჩაში ძაღლმა ფეხზე უკბინა. შეწუხებული ძაღლის პატრონი ქალი მამაკაცს ეკითხება:

— უკაცრავად, ბატონო, შარვალი ხომ არ გაგიხიათ?

— არა, ქალბატონო, შარვალი ამიკაპიწა და ისე მიკბინა!

***

ლიფტში შესული გოგონა მამაკაცს ეკითხება:

— ვაიმე, აქ რამდენი უნდა ჩავაგდო?

— 5-თეთრიანი.

— 10-თეთრიანი რომ ჩავაგდო, რა მოხდება?

— უფრო ჩქარა აგიყვანს.

***

პროფესორი სტუდენტებს ეუბნება:

— იცით თუ არა, რომ თქვენს ასაკში ალექსანდრე მაკედონელმა ნახევარი მსოფლიო დაიპყრო?

— იმას მასწავლებელი არისტოტელე ჰყავდა, — უპასუხა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

***

მიცვალებულს მიასვენებენ. მეგობრებს არავინ ენაცვლება, ამ დროს ერთმა მეორეს გადაულაპარაკა:

— მგონი გვაჩუქეს ეს უბედური.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ალექსანდრე ჩივაძე 60 წლის გახდა

**ჩივაძე სამართლიანად ითვლება ქართული ფეხბურთის ვარსკვლავად და ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ ფეხბურთელად. ის ერთ-ერთია იმ ორი ქართველიდან, რომელმაც საბჭოთა კავშირის ნაკრების სამკლაური მოირგო. მანამდე ეს მურთაზ ხურცილავამ შეძლო.**

ალექსანდრე ჩივაძემ მთელი კარიერა თბილისის „დინამოს“ მიუძღვნა და კლუბთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო: 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, 1976 და 1979 წლებში საკავშირო თასს დაეუფლა, 1981 წელს კი, როგორც გუნდის კაპიტანმა, პირველმა შემართა ევროპული ჯილდო — უეფას თასების მფლობელთა თასი. ამავდროულად, ის ერთხელ დაეუფლა ჩემპიონატს ვერცხლის, ხოლო სამჯერ — ბრინჯაოს მედლებს. იყო ხალხთა საკავშირო სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი.

1980 წელს „დინამოს“ კაპიტანი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იმავე წელს ის საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად მოსკოვის თამაშებზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, ახალგაზრდულ ნაკრებში კი ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ბატონი საშა საბჭოთა ნაკრების კაპიტანი იყო მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე.

ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწეობდა: იყო ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტის მწვრთნელი (2-ჯერ), დღეს კი მოვალეობის შემსრულებელი, 21-წლამდელთა ნაკრებს ეროვნული გუნდის მთავარი წვრთნის.



მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# პეჩომ და მაგდა ვასაძემ „ორი ვარსკვლავი“ დატოვეს

ეკა ირემაშვილი



მუსიკალური შოუ „ორი ვარსკვლავი“ დასასრულს უახლოვდება. პროექტის მეათე ეპიზოდში ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, მეცხრე საკონკურსო ტურის აუთსაიდერები გახდნენ მაგდა ვასაძე და პეჩო და ელენე ფოჩხუა და გოდერძი შარაშია.

პროექტის ამ საკონკურსო ტურს ვერ დაესწრო თეონა კონტრიძე. მის მაგივრად კონკურსანტებს საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი აფასებდა. ჟიურის მეოთხე მიწვეულ წევრად კი პროდიუსერებმა ჟურნალისტი ინგა გრიგოლია შეარჩიეს.

აუთსაიდერებიდან მაყურებელმა პროექტში ელენე ფოჩხუას და გოდერძი შარაშიას დატოვების გადაწყვეტილება მიიღო და უკვე მეოთხედ აუთსაიდერებში მდგარი მაგდას და პეჩოს წყვილი შოუს მიღმა დატოვა.

მომდევნო სამშაბათს „ორ ვარსკვლავში“ ერთმანეთს სამი ნახევარფინალისტი დაუპირისპირდება ხათუნა ჟორდანიას და გიო ხუციშვილის წყვილი, ანანო მჟავიას და დაჩი კოპაძის წყვილი და ელენე ფოჩხუას და გოდერძი შარაშიას წყვილი.

მაგდა ვასაძის და პეჩოს პროექტიდან გაშვებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. როგორც მოსალოდნელი იყო, უმრავლესობა პროექტის ჩაწყობაზე ალაპარაკდა და სწორედ ამით ახსნა შოუს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წყვილის პროექტიდან გაშვება.

„ორ ვარსკვლავში“ დარჩენილმა ერთადერთმა ქალმა კონკურსანტმა ხათუნა ჟორდანიამ პეჩოს პროექტიდან გავარდნა ასე შეაფასა:

— გული დამწყდა პეჩოს გავარდნაზე, თუმცა თავიდანვე ვთვლიდი, რომ ის შემდგარი, ძალიან მაგარი მომღერალია და მისი ადგილი ამ მოყვარულებთან არ იყო. ყოველი მისი გამოსვლა დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის.

არაკოლეგიალობაში დაადანაშაულა ქართველი ექიმები ცნობილმა ექიმმა და მსახიობმა ჯონი ჯანაშიამ:

— ეგ არის საქართველო: პეჩო გამოვარდა, გოდერძი აუტსაიდერი იყო და ლიდერებად აღმოჩნდნენ... თუმცა ვინც დარჩა, იმათ რას ვერჩი... შენ, ქართველო, უნამუსოსთან ერთად, უსმენო და უგემოვნებო სნობი ხარ... და შენ, ქართველო ექიმო, მსოფლიოში ყველაზე არაკოლეგიალური, არასოლიდარული და უჯიგრო ხარ, პეჩოს რომ არ დაუდექი მხარში და გააგდებინე.

# ვეძებთ ლიკა ჭელიძეს!

## კიდევ ერთი თაღლითი საკონცერტო ორგანიზატორი ცნობილია

ეკა ირემაშვილი

უცხოეთში მოღვაწე ქართველი პროდიუსერი ეკა ჩიტაშვილი კიდევ ერთი თაღლით საკონცერტო ორგანიზატორს ასახელებს:

— ვეძებთ ლიკა ჭელიძეს! დაგვეხმარეთ მის მოძებნაში! ის გაურბის პასუხისმგებლობას! დუდა ხარჩილავა და ლიკა ჭელიძე, ნუ ემალებით არტისტებს და ნუ თაღლითობთ! ნუ არცხვენთ ქვეყანას!

პროდიუსერმა ეკა ჩიტაშვილმა რამდენიმე დღის წინ საჯარო განცხადება გააკეთა და ყველას შეატყობინა, რომ საქართველოში მომრავლდნენ თაღლითი საკონცერტო ორგანიზატორები, რომლებიც უცხოელ არტისტებს დაპირებულ ჰონორარებს არ უხდიან. ეკამ მათი დასახელების პირობაც დადო და ეს პირობაც შეასრულა:

— ეს ადამიანები გვემალებიან! ემალებიან არტისტებს, რომელთაც ჰონორარს არ უხდიან! სამარცხვინოდ ექცევიან ვარსკვლავებს! გამართეს მათი კონცერტი, შემდეგ კი არტისტებს ჰონორარი არ გადაუხადეს, გაყიდული ბილეთების თანხა მიითვისეს და დაიმალნენ! არტისტები სასამართლოში ჩივილს აპირებენ და ითხოვენ დახმარებას ქართველი მსმენელისგან! სამარცხვინო ფაქტია! საქართველოში ეს არ უნდა ხდებოდეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 2. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 3. ნავთობის საბადო კახეთში; 4. მადის მოსაყვანი სპირტიანი სასმელი; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 6. ველური ვარდი; 8. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი ხვლიკი; 11. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 14. კბილის ამოღების ოპერაცია; 15. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 16. ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 17. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 21. საარყე ტიკჭორა; 22. მდინარე დუნაის ძველბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. წიგნის, სტატიის მოკლე განმარტებითი ან შეფასებითი შინაარსი; 5. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 7. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 9. დიდი, მდიდრული ბინა, ოფისი; 10. გემის სამზარეულო; 12. ძველებური ფლორენციული ოქროს ფული; 13. გერმანული ლუდი; 16. უბანი თბილისში; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 18. ყვითელი ფერის გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 20. სტაფილოში არსებული ყვითელი ფერის პიგმენტი; 22. თვალის ფერადი გარსი; 23. ისტორიული ოლქი ინდოეთ-პაკისტანის ტერიტორიაზე; 24. რაიმეს შუაგული; 25. თეთრი ფერის ჭედადი ლითონი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

